



**არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO) არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია**

**საქართველოს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები**

**შუალედური ანგარიში  
21 სექტემბერი - 13 ოქტომბერი**

თბილისი  
15 ოქტომბერი, 2024

---

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში პოლარიზებულ და დაძაბულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობს. შემფოთების ძირითად საგანს წარმოადგენს: (1) მმართველი პარტიის ძლიერი გავლენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შემადგენლობაზე, (2) საინფორმაციო სივრცის სანდოობა და ცილისმწამებლური კამპანიები და (3) ისეთი მარეგულირებელი ორგანოების ქმედებები, როგორებიცაა ანტიკორუფციული ბიურო (ACB) და კომუნიკაციების კომისია (ComCom). ასევე, შემფოთება გამოიწვია კამპანიის ფარგლებში სახელმწიფო რესურსების გამოყენებამ, განსაკუთრებით განათლების სექტორში, სადაც ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევები დაფიქსირდა. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია სამართლებრივი ვადების დაცვით მოქმედებს. თუმცა, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და მოქალაქეთა ჩართულობის საკითხი კვლავ შემფოთების საგნად რჩება.

---

2024 წლის სექტემბერში არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (შემდგომში ENEMO) არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისია (EOM) საქართველოში ოფიციალურად მუშაობს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით.

ENEMO-ს ძირითადი გუნდი თბილისში დაფუძნებული შვიდი (7) აკრედიტებული ექსპერტისგან შედგება. მისიას ხელმძღვანელობს დოქტორი ზლატკო ვუიოვიჩი. ENEMO-ს დამატებით ჰყავს რვა (8) გრძელვადიანი დამკვირვებელი (LTO, რომლებიც ოთხ (4) მრავალეროვნულ ჯგუფად არიან დაკომპლექტებული და მთელი ქვეყნის მასშტაბით – თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და გორში არიან გადანაწილებულნი. ამასთანავე, მისია დააკვირდება უშუალოდ არჩევნების დღეს, სადაც დამატებით 80 მოკლევადიანი დამკვირვებელი (STO) ჩაერთვება საარჩევნო უბნების გახსნის, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის მონიტორინგში.

ეს გახლავთ ENEMO-ს მესამე მისია საქართველოში. 2001 წელს, ქსელის შექმნიდან მოყოლებული, ENEMO-მ მნიშვნელოვანი გამოცდილება მოიპოვა რეგიონში არჩევნებზე დაკვირვების მიმართულებით. აღნიშნული მისიის ყოფნა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის საარჩევნო პროცესის შესახებ. 2024 წლის 13 ოქტომბრამდე ENEMO-ს ძირითადი გუნდის ექსპერტებმა და გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ჩაატარეს 151 შეხვედრა, აქედან 45 – არჩევნების მართვის ორგანოებთან, 25 – პოლიტიკურ პარტიებთან და კანდიდატებთან, ორი შეხვედრა სახელმწიფო მოხელეებთან, 16 – მედიასთან, 21 – ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, 22 კი სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან. გარდა ამისა, მისიის წარმომადგენლები დააკვირდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის 20-ზე მეტ სესიასა და ტრენინგს და კამპანიის შვიდ (7) აქტივობას (შეხვედრებს ან მსვლელობებს).

მისია, დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, აკვირდება და აფასებს: მთლიან პოლიტიკურ და საარჩევნო გარემოს, ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, საარჩევნო ორგანოების საქმიანობას, წინასაარჩევნო კამპანიას, გენდერულ წარმომადგენლობას, ხმის მიცემისა და დათვლის პროცესებს, საარჩევნო დავების გადაწყვეტასა და პროცესის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. არჩევნებზე გამოვლენილ მთავარ გამოწვევებსა და პრობლემებთან დაკავშირებით ENEMO ხელს შეუწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას. ამგვარად, მხარს დაუჭერს შესაბამისი პოლიტიკის პრინციპების ცვლილებას საბოლოო ანგარიშში კონკრეტული რეკომენდაციების მიღების გზით.

აღნიშნული შუალედური ანგარიში ეფუძნება ENEMO-ს მიერ 2024 წლის 21 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ეროვნულ დონეზე და რეგიონებში<sup>1</sup> ჩატარებულ დაკვირვებებს. მისია არჩევნების დღის შემდეგ გამოაქვეყნებს განცხადებას წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ და დარჩება ქვეყანაში, რათა თვალი ადევნოს

<sup>1</sup> აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გამოკლებით.

შესაძლო საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესს. საბოლოო ანგარიში შედეგების გამოცხადებიდან სამოცი დღის ვადაში გამოქვეყნდება.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ **ENEMO**.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

---

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ტარდება უაღრესად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში, რომელიც გამოირჩეოდა 2020 წლის არჩევნების შედეგებისა და “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” სადავო კანონის ირგვლივ არსებული დაპირისპირებებით, რამაც გამოიწვია არაერთი პროტესტი და საერთაშორისო უკმაყოფილება. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია შეჩერდა, დასავლურმა ქვეყნებმა გაყინეს დახმარება და სანქციები დაუწესეს ოფიციალურ პირებს. ლგბტ+ უფლებებისა და მასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული კანონის თაობაზე საზოგადოების განხეთქილება გაძლიერდა. მმართველი პარტია, “ქართული ოცნება” არჩევნებს სახავს როგორც არჩევანს ომსა და მშვიდობას შორის, ხოლო ოპოზიციური პარტიები, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით, ამას წარმოაჩენენ როგორც არჩევანს ევროპასა და რუსეთს შორის.

მოახლოებული არჩევნები, 2017 წელს დაწყებული საარჩევნო რეფორმების შემდეგ, სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკვანძო ეტაპს წარმოადგენს. საქართველოს 2024 წლის საარჩევნო კანონმდებლობაში მრავალი ცვლილება შევიდა, თუმცა ბევრი ცვლილების მიუხედავად, სრულყოფილად ვერ მოხდა საერთაშორისო ორგანოების, მაგალითად ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინება. რეფორმების მიუხედავად, ხარვეზები რჩება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა საარჩევნო სანდოობა, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და მედია რეგულაციები, რაც გადამწყვეტია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისათვის. ბოლო რეფორმებმა, რომელთა მიღებაც ხშირ შემთხვევაში ფართო კონსულტაციების გარეშე მოხდა, შეშფოთება გამოიწვია გამჭვირვალობასთან, განსაკუთრებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) სანდოობასთან დაკავშირებით.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში პირველი სრულად პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები იქნება, სადაც 150-ზე მანდატი დახურული პარტიული სიების საფუძველზე შეივსება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა, განსაკუთრებით მცირე პარტიების, პოლიტიკურ წარმომადგენლობას აძლიერებს, წინასაარჩევნო კოალიციების აკრძალვა და 5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწესება მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს პოლიტიკური კონკურენციის კუთხით.

საქართველოში საარჩევნო პროცესს სამდონიანი ადმინისტრაცია მართავს: ცესკო, 73 საოლქო საარჩევნო კომისია (DEC) და 3031 საუბნო საარჩევნო კომისია (PEC). 2022 წლის დეკემბერში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავდა პროფესიონალიზმის ხელშეწყობასა და საზოგადოების ნდობის ამაღლებას. თუმცა,

2024 წელს განხორციელებულმა სადავო ცვლილებებმა შეცვალა კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილება და შეასუსტა კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება, რამაც ეჭვები აღძრა ცესკოს მიუკერძოებლობის შესახებ. მიუხედავად ამ პრობლემებისა, ENEMO აღნიშნავს, რომ ცესკო ეფექტურად მართავს არჩევნების მოსამზადებელ პერიოდს, მოქმედებს კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად, და ინარჩუნებს გამჭვირვალობას. თუმცა ცვლილებების შედეგად გაიზარდა მმართველი პარტიის გავლენა და შესუსტდა მიუკერძოებლობა.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე არსებობს გამოწვევები არაპარტიულ თანამდებობებზე განაცხადების დაბალ რაოდენობასთან და გამჭვირვალობის საკითხებთან დაკავშირებით. საოლქო საარჩევნო კომისიები, როგორც წესი, პროფესიონალურად ფუნქციონირებენ, თუმცა სხდომების შესახებ ინფორმაციას დამკვირვებლები არათანმიმდევრულად იღებენ. საარჩევნოდ დროებით შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები, ებრძვიან პოლიტიკურ ზეწოლას, გადადგომის შემთხვევების მაღალ მაჩვენებელს და არათანაბარ ანაზღაურებას პროფესიონალ და პარტიის მიერ წარდგენილ წევრებს შორის. მიუხედავად ამ პრობლემებისა, ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ტრენინგი ჩაატარა, თუმცა პარტიული კანდიდატების მხრიდან დასწრება არათანმიმდევრული იყო.

საქართველოში 18 წელს გადაცილებულ ყველა მოქალაქეს შეუძლია ხმის მიცემა, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებული ან ქმედუუნაროდ ცნობილი პირებისა. ENEMO აკრიტიკებს აღნიშნულ პირობას და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუთავსებლად მიიჩნევს. ამომრჩეველთა რეგისტრაცია არის პასიური, ცენტრალიზებული და რეგულარულად განახლებადი ცესკოს მიერ. 2024 წლის სექტემბრის მონაცემებით, თითქმის 3.5 მილიონი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. თუმცა, წინა არჩევნების შემდგომ ქვეყნის გარეთ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 45%-ით გაიზარდა, რასაც ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა, რომლებიც საკვანძო ქალაქებში მეტი საარჩევნო უბნების გახსნას ითხოვდნენ.

საქართველოში კენჭისყრის უფლება ენიჭებათ 25 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყანაში მინიმუმ 10 წლის განმავლობაში ცხოვრობენ. თუმცა არსებობს შეზღუდვები მათთვის, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს, ან თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. დამოუკიდებელი კანდიდატების მონაწილეობა აკრძალულია, რაც არღვევს ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს. კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს არც წინასაარჩევნო კოალიციების არსებობას. არასაპარლამენტო პარტიებს რეგისტრაციისათვის 25,000 მხარდამჭერის ხელმოწერის წარდგენა უნდა მოეხდინათ 15 ივლისამდე. 30 არწარმოდგენილი პარტიიდან 17 დარეგისტრირდა, ხოლო 10 საპარლამენტო პარტია მიიღეს.

საქართველოში ახალ საარჩევნო ტექნოლოგიებს, მათ შორის ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობებს და ბიულეტენების ოპტიკურ სკანერებს (PCOS), უბნების 75%-ში გამოიყენებენ, რაც ამომრჩეველთა 90%-ს ფარავს. ეს ტექნოლოგიები მიზნად ისახავს ნდობის გაზრდას და შეცდომების ალბათობის შემცირებას, მაგრამ ბიულეტენების ხელით დათვლა იურიდიულად სავალდებულო რჩება. აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვამ საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა 20%-ით შეამცირა, რაც პოტენციური შეფერხებებისა და გადატვირთულობის შესახებ ეჭვებს იწვევს. ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მრავალი მცდელობის მიუხედავად, ახალი ბიულეტენების ფორმატთან დაკავშირებით დაბნეულობისა და PCOS-ის გამოყენებისას ხმის ფარულობის შესაძლო დარღვევაზე გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ გარკვეული შიში არსებობს.

27 აგვისტოს დაწყებული საარჩევნო კამპანია მკვეთრად პოლარიზებულია და ფოკუსირდება საქართველოს ურთიერთობებზე რუსეთსა და ევროკავშირთან. დეზინფორმაცია, მაგალითად, „გლობალური ომის პარტიის“ ნარატივი, საარჩევნო გარემოს მნიშვნელოვნად ამახინჯებს. კამპანია ძირითადად მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობს, მაგრამ არის შევიწროების, პარტიების ოფისებზე თავდასხმებისა და აქტივისტების თვალთვალის შემთხვევები, რაზედაც ხშირად არ კეთდება განცხადება სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობის გამო. მმართველი პარტია არაპროპორციულად იყენებს სახელმწიფო რესურსებსა და ბილბორდებს, მაშინ როცა ოპოზიციურ პარტიებს, განსაკუთრებით მცირე პარტიებს, შეზღუდვები ექმნებათ საეთერო დროის დათმობისა და კამპანიის კუთხით. ENEMO აღნიშნავს სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების ფაქტებს, განსაკუთრებით განათლების სექტორში. შეშფოთება გამოიწვია “ამნისტიის შესახებ” კანონმა, რომელიც მმართველი პარტიისთვის ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად პოტენციურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

2024 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა გაამკაცრა კამპანიის ფინანსური რეგულაციები, აკრძალა იურიდიული პირებისგან შემოწირულებები და შეზღუდვები დააწესა სესხებზე, ხარჯებსა და ინდივიდუალურ შემოწირულებებზე. ამის მიუხედავად, მესამე მხარის დაფინანსება კვლავ არასაკმარისადაა რეგულირებული. კამპანიის ფინანსებს ზედამხედველობს ანტიკორუფციული ბიურო (ACB), რომელსაც გამოძიებისა და ქონების გაყინვის უფლებამოსილება აქვს. შეშფოთება გამოიწვია ანტიკორუფციული ბიუროს ქმედებებმა, მათ შორის არასაარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციების, “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-სა და “აირჩიე ევროპა“-ს “საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად” გამოცხადებამ, რასაც სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან თვითცენზურის შესახებ ცნობები მოჰყვა. ENEMO აღნიშნავს, რომ ეს პრაქტიკა სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს გამონატვის თავისუფლებასა და ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობას.

საქართველოს მედია ლანდშაფტი პოლიტიკური გავლენის ქვეშაა. კერძო მედიის მფლობელები ხშირად პოლიტიკურ პარტიებთან არიან დაკავშირებული. ENEMO შეშფოთებას გამოხატავს ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული მუქარების გამო, განსაკუთრებით 2021 წლის თავდასხმების შემდეგ. კომუნიკაციების კომისია (ComCom) მედიას, მათ შორის უფასო საეთერო დროისა და სიძულვილის ენის რეგულირებას ზედამხედველობს. თუმცა მისი გადაწყვეტილება, რეაგირება მხოლოდ სარჩელებზე მოახდინოს და არა სიძულვილის ენის შემთხვევების პროაქტიულად აღმოფხვრაზე, მედია ორგანიზაციებისთვის ფინანსურ რისკებს ზრდის. სოციალური მედია, რომელიც ხშირად მცირე პარტიების კამპანიებისთვის გამოიყენება, დეზინფორმაციის პლატფორმადაც იქცა, მათ შორის მმართველი პარტიის მიერ გავრცელებული “გლობალური ომის პარტიის” ნარატივისთვის. აგვისტოში საფრთხეების საპასუხოდ Meta-მ რუსეთიდან კოორდინირებული დეზინფორმაციის ქსელი გააუქმა.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში კვლავ დაბალია – ქალები საპარლამენტო მანდატების მხოლოდ 19%-ს იკავებენ. ქალ უფლებადამცველთა წინააღმდეგობის და პრეზიდენტ ზურაბიშვილის ვეტოს მიუხედავად, 2020 წელს შემოღებული გენდერული კვოტები 2024 წელს გაუქმდა. ENEMO აღნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება, რაც უკვე აისახა პარტიულ სიებში ქალთა რაოდენობის შემცირებაზე.

საქართველოში არ არსებობს ფორმალური მექანიზმები ან კვოტები ეროვნული უმცირესობების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენენ, თუმცა ისინი მაინც ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. მიუხედავად იმისა, რომ ცესკომ საინფორმაციო კამპანია დაიწყო და მასალების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გავრცელება უზრუნველყო, ENEMO აღნიშნავს, რომ უმცირესობათა კვოტების არარსებობა მათ პოლიტიკურ ჩართულობას ზღუდავს.

საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის მიმართულებით პროგრესს მიაღწია ადაპტირებული საარჩევნო უბნების, ჟესტური ენის თარგმანისა და ტაქტილური ბიულეტენების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-მ თარჯიმნები გადაამზადა და საინფორმაციო სესიები ჩაატარა, მაინც ფიქსირდება არათანმიმდევრულობა, განსაკუთრებით სოფლად. ბარიერების კვლავ არსებობის ფონზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საარჩევნო ორგანოებში კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.

საჩივრების წარდგენა საარჩევნო პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საარჩევნო დავებთან დაკავშირებით შეუძლიათ, ხოლო ამომრჩევლებს – მხოლოდ მათი პირადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

დავების უმეტესობა დაჩქარებული წესით განიხილება და გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია უფრო მაღალ ინსტანციებში, მათ შორის რაიონულ, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. მიუხედავად დავების დროული გადაწყვეტის მნიშვნელობისა, შემოთვალისწინებულ იქნა ხანმოკლე ვადები, მითუმეტეს სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში, რაც საკმარისი მტკიცებულებების შეგროვებასა და საქმის მომზადების პროცესებს აფერხებს. ამასთანავე, უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია სამართლიანობაზე, განსაკუთრებით კომპლექსურ საქმეებზე.

არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების ონლაინ რეესტრი საჩივრებსა და გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. საარჩევნო კომისიები და სასამართლოები კი, როგორც წესი, სამართლებრივი ვადების დაცვით მოქმედებენ. 13 ოქტომბრის მდგომარეობით, შეტანილია 113 საჩივარი, რომელთაგან 32 განხილვაშია, და მხოლოდ სამი დაკმაყოფილდა. საჩივრების უმრავლესობა ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირებას (51), ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივ გამოყენებას (15) და კამპანიის რეგულაციების დარღვევას (19). სასამართლომ დაახლოებით 30 საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება, მათ შორის ძირითადი გადაწყვეტილებები უფასო საეთერო დროის განაწილებასა და საზღვარგარეთ ხმის მიცემას ეხებოდა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ადგილობრივი დამკვირვებლები საქართველოში მზარდი გამოწვევების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ არჩევნების მონიტორინგსა და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებაში, ისინი სამართლებრივი შეზღუდვების, პოლიტიკურ ზეწოლისა და ხელისუფლების მხრიდან მათი გავლენის შეზღუდვის მცდელობების წინაშე დგანან. სამოქალაქო ჩართულობის სივრცის შეზღუდვა გაამწვავა წინააღმდეგობრივმა კანონმა “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ”, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას მნიშვნელოვნად ართულებს. გარდა ამისა, მთავრობამ საერთაშორისო დამკვირვებლების წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიები წამოიწყო, მათ შორის ENEMO-ს წინააღმდეგ. ხელისუფლება სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიკერძოებულობაში ადანაშაულებს და ეჭვქვეშ აყენებს მათ სანდოობას, რაც საარჩევნო მონიტორინგის პროცესის მთლიანობის კუთხით შემოფოთებას იწვევს.



## ზოგადი მიმოხილვა

---

საპარლამენტო არჩევნები 2024 წლის 11 აპრილს დაინიშნა და 2024 წლის 26 ოქტომბერს რეგულარული საარჩევნო ციკლის ფარგლებში ჩატარდება. საქართველოში მრავალპარტიული არჩევნები 1991 წლიდან ტარდება. ბოლო 12 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკაში პარტია “ქართული ოცნება” დომინირებს, რომელიც 2012 წლიდან ხელისუფლებაში იმყოფება. ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის ოქტომბერში გაიმართა, როდესაც მმართველმა პარტიამ “ქართული ოცნება” შერეული სისტემით პარლამენტში 150 მანდატიდან 90 მოიპოვა. აქედან 120 მანდატი პროპორციული წესით, ხოლო 30 – მაჟორიტარული წესით გადაინაწილდა<sup>2</sup>.

მიმდინარე არჩევნები პირველი არჩევნებია საქართველოში, რომელიც სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება. 2017 წელს საქართველომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით საარჩევნო სისტემის ეტაპობრივი რეფორმა გაატარა. პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, ასევე შემოღებულ იქნა 30%-იანი კვოტა საარჩევნო სიებში ქალთა წარმომადგენლობისთვის. მას შემდეგ, 2022, 2023 და 2024 წლებში საარჩევნო სისტემაში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რამაც წინასაარჩევნოდ უარყოფითი გავლენა იქონია საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობაზე. კამპანიის დაფინანსების რეგულაციებისა და ზედამხედველობის ცვლილებების გარდა, გაუქმდა გენდერული კვოტები საარჩევნო სიებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ საარჩევნო ციკლში განხორციელდა, მას არ მოჰყოლია პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის მოსალოდნელი ზრდა. გარდა ამისა, 26 ოქტომბრის არჩევნები იქნება პირველი, სადაც ამომრჩეველთა იდენტიფიკაციისა და ხმების დათვლის ტექნოლოგიები ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული<sup>3</sup>.

მიმდინარე კამპანია უაღრესად პოლარიზებულ კონტექსტში მიმდინარეობს, და იმ დრმა პოლიტიკური კრიზისის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც არსებული ხელისუფლების მანდატთან ერთად დაიწყო, როდესაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს გაემიჯნნენ<sup>4</sup>.

პოლიტიკური დამაბულობა გააღვივა “ქართული ოცნების” მიერ “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის ინიცირებამ. კანონი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთი შემოსავლის 20%-ზე მეტს საქართველოს

---

<sup>2</sup> დარჩენილი 60 ადგილი 8 საპარლამენტო ერთობაზე გადაინაწილდა: “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” (36), “ევროპული საქართველო” (5), “ლელო” (4), “გირჩი” (4), “პატრიოტთა ალიანსი” (4), ბლოკი “სტრატეგია აღმაშენებელი” (4), “მოქალაქეები” (2), “საქართველოს ლეიბორისტული პარტია” (1).

<sup>3</sup> ახალი ტექნოლოგიის შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ *საარჩევნო ტექნოლოგიების* სექცია.

<sup>4</sup> მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული, ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმების შემდეგ, ოპოზიციამ პარლამენტში რეფორმების შემუშავებაში მონაწილეობას დასთანხმდა.

საზღვრებს გარედან იღებენ, ავალდებულებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარ, მათი დამფინანსებელი უცხოური ძალების ინტერესებით მოქმედ ორგანიზაციებად დარეგისტრირდნენ. ორი მცდელობის შემდეგ<sup>5</sup> პარლამენტმა კანონი საბოლოოდ 2024 წლის მაისში მიიღო, რამაც დიდი ანტი-სამთავრობო პროტესტები გამოიწვია. აღნიშნულს აქტივისტების, პოლიტიკოსებისა და მათი ოჯახების დაშინებისა და შევიწროების ფართომასშტაბიანი შემთხვევები მოჰყვა<sup>6</sup>. საპროტესტო აქციების ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა, ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული რიტორიკის გამლიერებამ, საერთაშორისო საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია. რამდენიმე დასავლურმა სახელმწიფომ საქართველოსთვის ფინანსური დახმარება გაყინა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი დე ფაქტოდ შეჩერდა<sup>7</sup> და აშშ-მ რიგი სანქციები დააწესა ქართველი ოფიციალური პირების წინააღმდეგ<sup>8</sup>.

26 ოქტომბრის არჩევნების წინ სოციალური დამაბულობის კიდევ ერთი მიზეზი ლგბტ+ უფლებების საკითხია. 2021 წლის ივლისში, მედიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც პრაიდის მსვლელობა უნდა გაეშუქებინათ, ძალადობრივი კონტრ-აქციის მონაწილეების თავდასხმის შედეგად მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიიღეს. მათგან ერთ-ერთი გარდაიცვალა, ამ შემთხვევების დიდი ნაწილი კი გამოუძიებელი რჩება. 2024 წელს პარლამენტმა “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ” კანონი მიიღო, მიუხედავად მისი დისკრიმინაციული მიზნის ფართომასშტაბიანი კრიტიკისა<sup>9</sup>.

ახლახან, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დანაწევრებული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ერთობლივ პლატფორმაში გაერთიანების პროცესი წამოიწყო, რომელიც პარტიებს არჩევნების შემდეგ ერთობლივი მთავრობის შექმნასა და პრო-ევროპული საგარეო პოლიტიკის გატარებას ავალდებულებს. პლატფორმას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უმეტესობა შეუერთდა.

26 ოქტომბრის არჩევნები მმართველი პარტია “ქართული ოცნების” მიერ ფორმულირებულია, როგორც არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის, ხოლო

<sup>5</sup> 2023 წლის მარტში პირველი მცდელობის შემდეგ კანონი გაიწვიეს, მეორე მცდელობისას 2024 წლის აპრილში პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო.

<sup>6</sup> ENEMO-სთან საუბრისას პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ მუქარის სამიზნე თავად ან მისი ოჯახის წევრები იყვნენ.

<sup>7</sup> იხილეთ [ევროკავშირის საბჭოს დასკვნები CO EUR 12 CONCL 4](#) 2024 წლის 27 ივნისიდან.

<sup>8</sup> სულ ახლახან, დიდმა ბრიტანეთმა საქართველოსთან [უსაფრთხოების დიალოგის გაყინვის](#) შესახებ განცხადება გააკეთა და შეშფოთება გამოთქვა დემოკრატიის დასუსტებისა და ანტიდასავლური რიტორიკის გამო (როიტერი, 2024 წლის 15 ოქტომბერი).

<sup>9</sup> სხვა საკითხებთან ერთად, კანონი კრძალავს შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის უფლებას, გარდა დაქორწინებული წყვილებისა და ჰეტეროსექსუალური პირებისა, ის ასევე კრძალავს სამედიცინო ჩარევებს, რომლებიც მიმართულია სქესის შეცვლაზე და ნებას რთავს ქორწინებას მხოლოდ ბიოლოგიურ მამაკაცებსა და ქალებს შორის. [ვენეციის კომისიის აზრი CDL-AD\(2024\)021](#) კანონპროექტის შესახებ, გამოქვეყნებული 2024 წლის 25 ივნისს.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ კი როგორც არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის.

## სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

---

### სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში არჩევნები მნიშვნელოვნად განახლებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ჩატარდება, რომელშიც, მრავალი ჩასწორების შემდეგ, უახლესი ცვლილებები 2024 წლის მაისში შევიდა. მიუხედავად ხშირი ცვლილებებისა, საკანონმდებლო შესწორებები სრულად არ ასახავს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანოების რეკომენდაციებს, როგორცაა ვენეციის კომისია, ENEMO და ეუთო/ოდირი (OSCE/ODIHR), ასევე არჩევნების სადამკვირვებლო ადგილობრივი ორგანიზაციები. ამ რეკომენდაციების სრული განხორციელება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ცხრაპუნქტიანი გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტია და ხაზს უსვამს გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ინკლუზიურობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმის საჭიროებას.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ ჩარჩოში მრავალი ცვლილება შევიდა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ძირითადი სტრუქტურა მრავალი წლის განმავლობაში უცვლელი რჩება. მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპებსა და საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა უფლებებს საქართველოს კონსტიტუცია (1995) განსაზღვრავს. საქართველოს საარჩევნო კოდექსი (2011) არჩევნების ჩატარების ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებს, ასევე რეფერენდუმებსა და პლემბისციტებს მოიცავს

საკანონმდებლო ჩარჩოს აძლიერებს სხვა ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორცაა ორგანული კანონი “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” (1997), რომელიც არეგულირებს პოლიტიკურ პარტიებს, მათ ფორმირებას და პოლიტიკურ დაფინანსებას. “მაუწყებლობის შესახებ” (2005) კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ წესებს, არჩევნების პერიოდში ყველა პოლიტიკური პარტიისთვის მედიაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით. ეს კანონმდებლობა დამატებით არის განმტკიცებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ გამოცემული განკარგულებებით,

რომლებიც არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის ნორმატიულ გზამკვლევს წარმოადგენს .

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს საარჩევნო კოდექსი რამდენჯერმე გახდა ფრაგმენტული ცვლილებების ობიექტი, საერთო ჯამში კი 25 შესწორება იქნა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი დაინტერესებულ მხარეებს შორის ფართო შეთანხმების საფუძველზე შედგა, მაგალითად 2022 წლის შესწორებები, რომლებიც ყოვლისმომცველი კონსულტაციებისა და მრავალპარტიული მხარდაჭერის საფუძველზე მიიღეს, ცვლილებათა დიდმა ნაწილმა ვერ უზრუნველყო ყოვლისმომცველი რეფორმა. 2022 წლის შესწორებები საერთაშორისო დამკვირვებლების, მაგალითად ეუთო/ოდირისა (OSCE/ODIHR) და ENEMO-ს რამდენიმე მნიშვნელოვან რეკომენდაციას ეხებოდა, მათ შორის: ქვედა დონის საარჩევნო ორგანოების მიუკერძოებლობის გაძლიერებას, მოქალაქე დამკვირვებლების როლის გაფართოებას, ხელახალი დათვლის საფუძველების დამატებას და საარჩევნო დავების გადაჭრის პროცესში ვადების კორექტირებას.

ამ ნაბიჯების მიუხედავად, მმართველმა პარტიამ წამოიწყო ახალი რეფორმები, ოპოზიციის წევრების მხრიდან მინიმალური მონაწილეობით, რამაც ეჭვები გაზარდა გამჭვირვალობასა და ინკლუზიურობასთან დაკავშირებით. საარჩევნო კოდექსში ბოლო შესწორებები ძირითადად ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) შემადგენლობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ცვლილებას ეხებოდა. 2021 წლის შეთანხმებით, თავდაპირველად აუცილებელი იყო ცესკოს წევრების არჩევა პარლამენტის ორი მესამედით, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე ოპოზიციიდან უნდა ყოფილიყო არჩეული. თუმცა, 2023 წელს მმართველმა პარტიამ კენჭისყრის კვორუმი შეამცირა, რაც საშუალებას იძლევა მარტივი უმრავლესობით აირჩეს ცესკოს თავმჯდომარე და წევრები ხუთწლიანი ვადით. ასევე, შემცირდა პრეზიდენტის როლი წევრების შერჩევის პროცესში, ხოლო ოპოზიციის მიერ დანიშნული მოადგილის პოზიცია გაუქმდა. გარდა ამისა, შეიცვალა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ცესკოში: ადრე საჭირო იყო უმრავლესობის ორი მესამედი გადაწყვეტილებების დასამტკიცებლად, ახლა კი, პირველი კენჭისყრის შემდეგ, მარტივი უმრავლესობით არის შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღება, რაც ამცირებს კონსენსუსის საჭიროებას.

ეს ცვლილებები ხშირად ნაჩქარევად, ფართო კონსულტაციების გვერდის ავლით იქნა მიღებული, რაც აუცილებელია მნიშვნელოვანი რეფორმისთვის. შედეგად, ყურადღების მიღმა დარჩა ძირითადი რეკომენდაციები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც საარჩევნო პროცესის სანდოობის გაუმჯობესებასა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ცვლილებების ეს ფრაგმენტული ხასიათი – ზოგჯერ წინ გადადგმული ნაბიჯები, შემდგომი უკან დახევით – მიუთითებს ყოვლისმომცველი რეფორმის დღის წესრიგის ნაკლებობაზე, რის გამოც მნიშვნელოვანი საკითხები კვლავ გადაუჭრელია და სისტემაში არსებული

გამოწვევები კიდევ უფრო მწვავედება. ყოვლისმომცველი რეფორმის განმეორებითი მოწოდების მიუხედავად, კვლავ არსებობს ხარვეზები, რომლებიც რეკომენდაციების შესრულებას უკავშირდება, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების დანიშვნის პროცესს, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებას, კამპანიის ფინანსური ზედამხედველობის გაძლიერებას, მედიაკამპანიის რეგულირების გაუმჯობესებას და საარჩევნო დავების გადაჭრის მექანიზმის დახვეწას, რაც ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

## საარჩევნო სისტემა

საქართველოში მოახლოებული არჩევნები პირველად ჩატარდება სიით პროპორციული სისტემის გამოყენებით, ქვეყნის მასშტაბით 150მანდატიანი ერთიანი საარჩევნო ოლქის ფარგლებში, დახურული ბლოკური სიების მიხედვით. მანდატების განაწილების პროცესში მონაწილეობის მისაღებად სიამ უნდა გადალახოს მოქმედი 5%-იანი საარჩევნო ბარიერი. კანონის ამჟამინდელი ვერსიიდან ამოღებულია გენდერული კვოტა, ასევე არაა ნებადართული დამოუკიდებელი კანდიდატების არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ახლადშემოღებული სიით პროპორციული სისტემა პროპორციულობისა და წარმომადგენლობითობის გასაზრდელად შეიქმნა, წინასაარჩევნო კოალიციების აკრძალვამ და შედარებით მაღალმა საკანონმდებლო ბარიერმა შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ მიზნების განხორციელებას. ეს დებულებები არსებითად ამცირებს საარჩევნო პროცესის საერთო კონკურენტუნარიანობას და მნიშვნელოვან ბარიერებს უქმნის მცირე პოლიტიკურ პარტიებს, მანდატების განაწილებაში მათი მონაწილეობის პოტენციური მარგინალიზებით.

ამ შეზღუდვების საპასუხოდ, პოლიტიკური სუბიექტები ხშირად ეძებენ ალტერნატიულ მექანიზმებს ფორმალური შეზღუდვების გვერდის ავლით, რაც უმეტეს შემთხვევაში დე ფაქტო კოალიციების შექმნით გამოიხატება. ასეთ შემთხვევებში, პარტიები, რომლებიც ტრადიციულად ფორმალურ ბლოკებს შექმნიდნენ, საერთო საარჩევნო სიის ქვეშ ერთი პარტიის სტატუსით დარეგისტრირდნენ.

დე ფაქტო კოალიციების ფორმირება, სადაც რამდენიმე მცირე პარტია სრული იდეოლოგიური ერთიანობის გარეშე ერთიანდება, ართულებს ამ ჯგუფებისთვის წინასაარჩევნო სტრატეგიების შემუშავებას. ოფიციალური კოალიციების საკანონმდებლო აკრძალვებმა ასევე გამოიწვია დაბნეულობა კამპანიის პროცესში. პარტიები, რომლებმაც ოფიციალურად მიიღეს ერთიანი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსი, რეალურად ფუნქციონირებენ როგორც ალიანსის წევრები.

ზემოაღნიშნული გარემოება მათ იურიდიულ სტატუსსა და რეალური კამპანიის სტრატეგიებს შორის შეუსაბამობას ქმნის.

ეს ე.წ. "გაერთიანებული" პარტიები არსებითად კამპანიას აწარმოებენ როგორც კოალიციები, თუმცა სამართლებრივი ჩარჩო ცალკეულ სუბიექტებზე მორგებული რჩება, რაც ქმნის მარეგულირებელ ნაცრისფერ ზონას.

საკანონმდებლო ბაზასა და პოლიტიკურ პრაქტიკას შორის ამ შეუსაბამობამ პოლიტიკური აქტორები და მარეგულირებელი ორგანოები აიძულა ბუნდოვან სამართლებრივ გარემოში ემუშავათ, რაც კიდევ უფრო ართულებს საერთო საარჩევნო გარემოს.

პარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი პარტიულ იდენტობას ასუსტებს, რადგან ახლა ისინი პოლიტიკური შეხედულებების უფრო ფართო, ხშირად არათანმიმდევრულ სპექტრს ერთიანი პარტიული სტრუქტურის ფარგლებში წარმოადგენენ. გარდა ამისა, სამართლებრივი ჩარჩოს<sup>10</sup> დაცვის აუცილებლობამ პარტიული განვითარების პროცესი შეაფერხა, რადგან პარტიების ტრადიციულ ლიდერებს ხშირად რთული გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის, გადადგომა<sup>11</sup> ან მათი თავდაპირველი რეგისტრაციის გაუქმება უწევთ, რათა შეესაბამებოდნენ კანონმდებლობას.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

---

საქართველოში საარჩევნო პროცესის მართვა სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხდება, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის (CEC), 73 საოლქო საარჩევნო კომისიის (DECs)<sup>12</sup> და 3031 საუბნო საარჩევნო კომისიისგან (PEC) შედგება.

2022 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საარჩევნო რეფორმების ყოვლისმომცველი პაკეტი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის, წევრთა დანიშვნის მექანიზმებისა და ასევე, ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით

---

<sup>10</sup> ბოლო დროს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პარტიების რეგისტრაციისა და კანდიდატთა სიების შედგენის წესები გაამკაცრა, რაც ზღუდავს პარტიებს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული კანდიდატების ჩართვაში და ხელს უშლის პარტიული ბრენდინგის მოქნილობას.

<sup>11</sup> რამდენიმე პოლიტიკური პარტიის (მათ შორის: "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა", "საქართველოს კონსერვატიული პარტია", "სახალხო ძალა", "საქართველოს რესპუბლიკური პარტია", "ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები", "კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი", "ელენე ხომტარია - დროა", "ანა დოლიძე - ხალხისთვის" და "გირჩი - მეტი თავისუფლება") ლიდერები ოფიციალურად გადადგნენ თავმჯდომარისა და პარტიის წევრობის თანამდებობებიდან.

<sup>12</sup> 76 საოლქო საარჩევნო კომისია შექმნილია მთელი ქვეყნის მასშტაბით, 3 საოლქო საარჩევნო კომისიის ჩათვლით რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიებზე მდებარეობს. არჩევნები არ ტარდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ცვლილებებს ითვალისწინებდა, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონისა და საზოგადოების მხრიდან ნდობის ამაღლებას ისახავდა მიზნად. ამჟამად, ყველა კომისია დაკომპლექტებულია 17 წევრით: 8 არაპარტიული წევრი, შერჩეული პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, და 9 წევრი, რომლებიც წარდგენილი არიან საპარლამენტო წარმომადგენლობის მქონე პოლიტიკური პარტიების მიერ.

### **ცენტრალური საარჩევნო კომისია (CEC)**

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) შექმნილია როგორც მუდმივი და დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომლის 17 წევრი 5 წლის ვადით ინიშნება. 2024 წელს საარჩევნო კოდექსის სადავო ცვლილებების შედეგად შეიცვალა ცესკოს შემადგენლობა, წევრების დანიშვნის მექანიზმი და ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი. კომისიის პროფესიონალი წევრების წარდგენის უფლებამოსილება, რომელიც მანამდე საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა, პარლამენტის თავმჯდომარეს გადაეცა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელსაც მანამდე ოპოზიცია წარადგენდა, გაუქმდა. ეს საკანონმდებლო ცვლილებები ასევე ცესკოს არაპარტიული წევრების მარტივი უმრავლესობით დანიშვნის შესაძლებლობას იძლევა, თუ საჭირო კვალიფიციური უმრავლესობა ( $\frac{3}{5}$ ) ვერ მიიღწა, რაც ძირს უთხრის კონსენსუსზე დაფუძნებულ წევრთა წარდგენის პროცესს. გარდა ამისა, ცვლილებები ცესკოს განკარგულების მარტივი უმრავლესობით მიღების საშუალებას იძლევა, თუ ხმების ორი მესამედი ვერ მიიღწა, რაც ინსტიტუტში კოლეგიალობის კულტურას ასუსტებს.

ამ ცვლილებებმა გაზარდა მმართველი პარტიის გავლენა ცესკოს წევრების დანიშვნის პროცესზე, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი პროფესიონალიზმისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად უკან გადადგმული ნაბიჯია.

ENEMO-ს არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა შეამცირა საერთო ნდობა ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

ცესკო რეგულარულ სხდომებს მართავს, რომელიც დროულად ცხადდება დაწესებულების ვებ-გვერდზე. სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემა და ღია აკრედიტებული დამკვირვებლების, პარტიის წარმომადგენლებისა და მედიისთვის. სხდომების შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებები ოპერატიულად ქვეყნდება დაწესებულების ვებგვერდზე<sup>13</sup>. ENEMO აღნიშნავს, რომ არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, ცესკო ეფექტურად მუშაობს და კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად მოქმედებს.

<sup>13</sup> ცესკოს მიერ მიღებული ყველა დადგენილება და განკარგულება მიღებისთანავე ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო 2023 წლამდე მიღებული აქტები ასევე თარგმნილია ინგლისურად.

## საოლქო საარჩევნო კომისიები (DEC)

საოლქო საარჩევნო კომისიები (DECs) 5 არაპარტიული წევრისგან შემდგარი მუდმივი ორგანოებია. საარჩევნო პერიოდში მათ ემატება ცესკოს მიერ შერჩეული დამატებით 3 არაპარტიული წევრი და პარლამენტის წარმომადგენლობითი პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი 9 წევრი. ცესკომ შერჩევის პროცესი, კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად, 31 აგვისტოს დაასრულა. შერჩევის პროცესი წარიმართა გამჭვირვალედ, კანდიდატთა გასაუბრების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებით. თუმცა, შემოსული განაცხადების შეზღუდული რაოდენობა არ იძლეოდა სრულად კონკურენტული შერჩევის პროცესის წარმართვის საშუალებას.<sup>14</sup>

პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი წევრები 3 სექტემბერს წარადგინეს. ახალი დებულება, რომელიც მიზნად ისახავს კომისიების სტაბილურობისა და ეფექტურობის ამაღლებას, კრძალავს პოლიტიკური პარტიების კანდიდატების ჩანაცვლებას 5 ოქტომბრის შემდეგ (არჩევნების დღემდე 3 კვირით ადრე).

ENEMO-ს დამკვირვებლებმა აღნიშნეს მინიმალური ცვლილებები საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში, რამაც უარყოფითად არ იმოქმედა კომისიის მუშაობაზე. დამკვირვებლებმა ასევე განაცხადეს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტესობა პროფესიონალურად და ზოგადად გამჭვირვალედ ფუნქციონირებს. თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების ჩანიშვნის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ მიეწოდებათ დამკვირვებლებს წინასწარ, რაც ზღუდავს გამჭვირვალობას.

## საუბნო საარჩევნო კომისიები (PEC)

საუბნო საარჩევნო კომისიები (PECs) დროებითი ორგანოებია, რომლებიც \- =არჩევნების დღემდე 30 დღით ადრე იქმნება. ამ არჩევნებისთვის საქართველოში 3,031, ხოლო საზღვარგარეთ 67 საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა. საუბნო საარჩევნო კომისიები შედგება 17-მდე წევრისაგან: მათგან 8 წევრი შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერაა შერჩეული და 9-მდე წევრი საპარლამენტო წარმომადგენლობითი პოლიტიკური პარტიების მიერ ინიშნება.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა 10 სექტემბერს არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევა, კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად დაასრულეს. თუმცა, საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განაცხადების რაოდენობა მცირე

<sup>14</sup> მთლიანობაში, ცესკოში სულ 261 განაცხადი შევიდა 219 ვაკანტურ თანამდებობაზე. 41 საოლქო საარჩევნო კომისიაში (56%) მხოლოდ 3 განაცხადი შევიდა 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.



იყო, რამაც განაპირობა ხელახალი კონკურსის რამდენიმეჯერ გამოცხადება.<sup>15</sup> მიუხედავად იმისა, რომ ცესკო განაცხადების მცირე რაოდენობას არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე დაწესებულ შეზღუდვებს უკავშირებდა,<sup>16</sup> ENEMO-სთან საუბრისას ჩართული მხარეები აღნიშნავდნენ, რომ დაბალი აქტივობა ქვეყანაში გაბატონებული დაშინების კლიმატის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის მქონე უფლებამოსილმა პოლიტიკურმა პარტიებმა წევრები კანონით დადგენილ ვადაში დანიშნეს, ზოგიერთმა მათგანმა ხაზი გაუსვა ყველა კომისიისთვის საკმარისი რაოდენობის წევრების მოძიების კუთხით არსებულ სირთულეებს.<sup>17</sup> ცესკოს ახლახან მიღებული დადგენილების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიონალი წევრებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ წევრთა ხელფასებში შეუსაბამობაა, რაც ძირს უთხრის კომისიის წევრებს შორის თანასწორობას და კიდევ უფრო ართულებს პოლიტიკური პარტიების ძალისხმევას საკმარისი კანდიდატების მოძებნაში.<sup>18</sup>

ENEMO-ს დამკვირვებელთა თქმით, ბევრი პოლიტიკური პარტიის კანდიდატი ხშირად თავს იკავებდა საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობისგან, ხოლო გადადგომის შემთხვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეული იყო პოლიტიკური ზეწოლითა და მუქარით, რაც შეშფოთებას იწვევს.<sup>19</sup>

ცესკოს სწავლების ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ხუთეტაპიანი სასწავლო პროგრამა განახორციელა. პირველი და მეორე ფაზა ჩატარდა 14 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით.<sup>20</sup> მიუხედავად იმისა, რომ არაპარტიული

---

<sup>15</sup> სულ შევიდა 24 425 განაცხადი, 24 240 ვაკანტურ თანამდებობაზე. ეს მოიცავს 9 111 განაცხადს 9 090 ხელმძღვანელის თანამდებობაზე და 15 314 განაცხადს კომისიის წევრის 15 150 ვაკანტურ თანამდებობაზე. პირველი კონკურსის შემდეგ ვაკანტური დარჩა 193 თანამდებობა.

<sup>16</sup> საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, უპარტიო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ: სახელმწიფო ადმინისტრაციის, სამხედრო, მთავრობის ან პარლამენტის წევრები; კანდიდატი ან კანდიდატის წარმომადგენელი; დამკვირვებელი; მედიის წარმომადგენელი; პირი, რომელმაც იმუშავა პარტიის წარმომადგენლად წინა ორი საარჩევნო პროცესის დროს, ან აფინანსებდა პარტიას არჩევნების წინა 2 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ყველა პროფესიონალმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა უნდა გაიაროს სასერტიფიკაციო გამოცდები.

<sup>17</sup> „ქართული ოცნება“ ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა, რომელმაც ყველა უბანზე დანიშნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (3031), მას მოყვება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (3024) და „ძლიერი საქართველო“ (3015). „გირჩმა“ მხოლოდ 1295 უბანზე დანიშნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.

<sup>18</sup> ცესკოს დადგენილების მიხედვით, პროფესიული წევრების ხელფასი თვეში 390 ლარია, ხოლო პარტიის მიერ დანიშნული წევრებისთვის - 260 ლარი. ნაციონალურმა მოძრაობამ აღნიშნულ დადგენილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

<sup>19</sup> მაგალითად, ENEMO-ს ამკვირვებლებმა აღნიშნეს რომ ამბროლაურში 29-ე და 36-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა პარტიებიდან "ევროპული საქართველო" და "სტრატეგია აღმაშენებელი", თანამდებობები დატოვეს, სავარაუდო ზეწოლის გამო.

<sup>20</sup> პირველი ეტაპი დაეთმო ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი), ხოლო მეორე ეტაპი არაპარტიულ წევრებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ტრენინგებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ძირითად შემთხვევაში ესწრებოდნენ ტრენინგს, პოლიტიკური პარტიების კანდიდატების დასწრება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.<sup>21</sup> მესამე ეტაპი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ტრენინგის გავლის შესაძლებლობას აძლევს იმ წევრებს, რომლებიც ვერ დაესწრნენ წინა ეტაპებს. ENEMO-ს დამკვირვებლებმა სასწავლო სესიები შეაფასეს როგორც კარგად ორგანიზებული და ყოვლისმომცველი.

## საარჩევნო ტექნოლოგიები

---

2022 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად მოხდა საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მიზნად ისახავს საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და პოტენციური ადამიანური შეცდომების შემცირებას.

### ამომრჩევლის ელექტრონული იდენტიფიკაცია

ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობები ამომრჩეველთა ელექტრონული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამოყენებით გადაამოწმებენ მათვინაობას და დაარეგისტრირებენ ხმის მიცემისათვის.

ხმის მისაცემად ამომრჩევლის იდენტიფიკაციაჯერ საუბნო საარჩევნო კომისიამ (PEC) უნდა მოახდინოს. ამომრჩევლის იდენტიფიკაცია ამომრჩევლის ელექტრონული პირადობის მოწმობის გამოყენებითაა შესაძლებელი, რომელიც ამომრჩევლის იდენტიფიკაციის დასადასტურებლად ელექტრონულ საიდენტიფიკაციო მოწყობილობაზე გატარდება. ელექტრონული პირადობის მოწმობის არმქონე ამომრჩევლები ხმის მიცემას პასპორტით ან არაელექტრონული პირადობის მოწმობით შეძლებენ. ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობაზე მონაცემების შეყვანა ხელით მოხდება. თუ მონაცემები შესაბამისობაშია, ამომრჩეველი გადაინაცვლებს მარკირების პროცესზე, რის შემდეგაც ის ჩაითვლება შემოწმებულ ამომრჩეველად.

---

<sup>21</sup> სწავლების ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, ტრენინგის პირველ ფაზაში (განკუთვნილია მთავარი თანამდებობის პირებისთვის) დასწრების მაჩვენებელი 85%-დან 90%-მდე იყო. მეორე ფაზაზე (გამიზნულია უპარტიო წევრებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის) უპარტიო წევრების დასწრების მაჩვენებელი იყო 82%, ხოლო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დასწრების საშუალო მაჩვენებელი 46%. ყველაზე დაბალი დასწრების მქონე პოლიტიკური პარტიები იყვნენ “გირჩი” (15%), “მოქალაქეები” (28%) და “ძლიერი საქართველო” (36%), განსხვავებით “ქართული ოცნების” წარმომადგენლების (77%), ან “ევროპელი სოციალისტებისგან” (71%).

## ელექტრონული ხმისმთვლელი მოწყობილობები

საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერი (PCOS) არის მოწყობილობა, რომელშიც ამომრჩევლები საარჩევნო უბანზე საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ. მოწყობილობა მოთავსებულია საარჩევნო ყუთზე. ის ითვლის და ახარისხებს მოქმედ და ბათილ ბიულეტენებს, რაც საშუალებას იძლევა წინასწარი შედეგები ხმის მიცემის პროცესის დასრულებიდან მოკლე დროში იყოს ხელმისაწვდომი. PCOS მოწყობილობები არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან მონაცემთა რეალურ დროში გადასაცემად; ისინი მუშაობენ ოფლაინ რეჟიმში. ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისია (PEC) მონაცემებს გადაიტანს სხვა ელექტრონულ მოწყობილობაზე, რომელიც ონლაინ რეჟიმში მუშაობს. აღნიშნული მონაცემების ცესკოში გადაგზავნა არჩევნების წინასწარი შედეგების გაგების საშუალებას იძლევა. თუმცა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ბიულეტენებს მაინც ხელით დათვლიან და მხოლოდ ხელით დათვლის შედეგები იქნება იურიდიული ძალის მქონე.

ამომრჩეველთა საიდენტიფიკაციო მოწყობილობები და PCOS გამოყენებული იქნება ქვეყნის მასშტაბით 2263 უბანზე (საუბნო საარჩევნო კომისიების 75%), რაც ამომრჩეველთა დაახლოებით 90%-ს წარმოადგენს.<sup>22</sup> საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვამ ერთ უბანზე ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა 1500-დან 3000-მდე გაზარდა. შესაბამისად, წინა არჩევნებთან შედარებით, საქართველოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა თითქმის 20%-ით შემცირდა.<sup>23</sup> ENEMO-სთან საუბრისას ჩართულმა მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება არჩევნების დღეს შესაძლო შეფერხებების, ამომრჩეველთა გრძელი რიგებისა და საარჩევნო უბნების გადატვირთულობის შესახებ.

2023 წლის ივნისიდან, ცესკომ ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია დაიწყო, და აღნიშნა, რომ 500 000-ზე მეტ ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ხმის მიცემის ახალ მოწყობილობებს. 11 სექტემბერს 598 საარჩევნო უბანზე იმიტირებული არჩევნები მოეწყო, რამაც 122 864 ამომრჩეველს საშუალება მისცა ახალ მოწყობილობებს გაცნობოდა.

ENEMO-სთან საუბრისას ჩართულ მხარეთა უმეტესობა აღნიშნავს რომ მიესალმება ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. თუმცა, მიუხედავად ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების კუთხით ცესკოს მცდელობებისა, დაინტერესებული მხარეების უმეტესობას მაინც აქვს გარკვეული დაბნეულობის მოლოდინი PCOS-ის მეშვეობით კენჭისყრის ახალ ფორმატთან დაკავშირებით,

<sup>22</sup> ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიები არ იქნება გამოყენებული იმ უბნებზე, სადაც 300-ზე ნაკლები ამომრჩეველია და/ან მდებარეობს საოლქო საარჩევნო კომისიის შენობიდან 20 კმ-ზე მეტ მანძილზე (768 საარჩევნო უბანი).

<sup>23</sup> 2021 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის სულ 3664 საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა, თითოეულ უბანზე მინიმუმ 1500 ამომრჩეველი.

რამაც შესაძლოა ბევრი ხმის გაბათილება განაპირობოს<sup>24</sup>. ENEMO-სთან საუბრისას ასევე გამოითქვა შემფოთება გავრცელებულ მითქმა-მოთქმებთან დაკავშირებით, რომ PCOS არ იძლევა ხმის ფარულობის გარანტიას.

## ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება 18 წელზე უფროსი ასაკის ყველა მოქალაქეს აქვს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულების<sup>25</sup>, სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუუნაროდ ცნობილი და სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირებისა. ENEMO აღნიშნავს, რომ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის გამო, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>26</sup>

ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიური, ცენტრალიზებული და უწყვეტია. ცესკოს ევალუა ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა (PSDA) და რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამომრჩეველთა სიის განახლება წელიწადში ოთხჯერ და არჩევნებამდე ხდება<sup>27</sup>. 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით ამომრჩეველთა სიაში 3,426,250 ამომრჩეველი იყო.

ამომრჩეველს რამდენიმე გზა აქვს, რათა საკუთარი თავი შეამოწმოს ამომრჩეველთა სიაში<sup>28</sup>, და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს შესწორებები. ამომრჩეველთა სიები

<sup>24</sup> ოპტიკური სკანერებით აღჭურვილ საარჩევნო უბნებში გამოყენებული ბიულეტენები განსხვავდება იმ ბიულეტენებისგან, რომელიც საარჩევნო ტექნოლოგიების გარეშე აღჭურვილ საარჩევნო უბნებში იქნება. საარჩევნო უბნებზე ოპტიკური ბიულეტენების სკანერებით ამომრჩეველები მონიშნავენ თავიანთ ბიულეტენს არჩეული საარჩევნო სუბიექტის წინ წრის გაფერადებით, რამაც გამოიწვია დისკუსია გაფუჭებული და გაბათილებული ბიულეტენების ინტერპრეტაციის შესახებ. საარჩევნო ტექნოლოგიების არმქონე საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტის შესაბამისი ნომერს შემოხაზავენ.

<sup>25</sup> განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ეხება 10 წელზე მეტი ვადით მსჯავრდადებულებს და უვადო თავისუფლების აღკვეთას.

<sup>26</sup> გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 29, აცხადებს, რომ უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმისათვის, რომ "უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ (არჩეული იქნენ)". გარდა ამისა, CRPD კომიტეტის 2013 წლის კომუნიკე No. 4/2011, პუნქტი. 9.4 ხაზს უსვამს, რომ „ხმის უფლების გამორიცხვა აღქმული ან ფაქტიური ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, მათ შორის შეზღუდვა ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე, კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით“.

<sup>27</sup> ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის ბოლო ვადა არჩევნების დღემდე 12 დღით ადრეა. ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობა არჩევნების დღემდე 5ხუთი დღით ადრე გამოქვეყნდება.

<sup>28</sup> ამომრჩეველს შეუძლია საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიაში შეამოწმოს ცესკოს ვებგვერდზე, ცესკოს მიერ შექმნილ მობილურ აპლიკაციაში, ასევე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე.

საუბნო საარჩევნო კომისიებს 26 სექტემბერს გადაეცათ, რის შემდგომ იგი საჯაროდ გამოქვეყნდა. შესწორებების მოთხოვნა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე 8 ოქტომბრამდეა შესაძლებელი. ENEMO-სთან საუბრისას ჩართულმა მხარეებმა არ გამოთქვეს მნიშვნელოვანი შეშფოთება ამომრჩეველთა სიის სიზუსტის გარშემო.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ამომრჩეველებს შესაძლებლობა ჰქონდათ დარეგისტრირებულიყვნენ 2024 წლის 7 ოქტომბრამდე დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, ან საკონსულოებში ხმის მისაცემად. სულ დარეგისტრირდა 95,834 ამომრჩეველი, რაც წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 45%-იანი ზრდაა.<sup>29</sup> ცესკომ 42 ქვეყანაში 67 საუბნო საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის 5 ქვეყანაში, სადაც არჩევნები პირველად გაიმართება.<sup>30</sup> ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების გახსნას დამატებით ქალაქებში, სადაც ამჟამად დიდი რაოდენობით ამომრჩეველია რეგისტრირებული.<sup>31</sup>

## კანდიდატთა რეგისტრაცია

---

კანდიდატად კენჭისყრის უფლება ენიჭებათ 25 წელზე უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში უცხოვრიათ არანაკლებ 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ ჩამოერთვათ ხმის უფლება ან მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. ეს შეზღუდვები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და კარგ პრაქტიკას.<sup>32</sup>

მოქმედი საარჩევნო სისტემა არ აძლევს კანდიდატებს დამოუკიდებლად კენჭისყრის უფლებას, რაც ეწინააღმდეგება 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5 პუნქტს,<sup>33</sup> ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებს

---

<sup>29</sup> 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სულ 66 217 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. 50 საუბნო საარჩევნო კომისია გაიხსნა 38 ქვეყანაში.

<sup>30</sup> საუბნო საარჩევნო კომისიები პირველად გაიხსნება არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ფინეთში, სამხრეთ კორეაში, იაპონიასა და ავსტრალიაში.

<sup>31</sup> ეს მოიცავს ქალაქებს ჩიკაგოს, არნედოს, ვალენსიას, ოსტუნისა და სტრასბურგს. ცესკოს გადაწყვეტილებაზე 3 სააპელაციო საჩივარი შევიდა, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ ისინი დაუშვებლად მიიჩნია.

<sup>32</sup> ICCPR, GC 25: "პირები, რომლებსაც აქვთ კენჭისყრის უფლება არ უნდა გამოირიცხონ არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნების გამო, როგორცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი ან წარმომავლობა, ან პოლიტიკური კუთვნილება".

<sup>33</sup> 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები „პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას, დაიკავონ პოლიტიკური ან საჯარო თანამდებობა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, როგორც პოლიტიკური პარტიების, ან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დისკრიმინაციის გარეშე“. იხილეთ

დემოკრატიული არჩევნებისთვის.<sup>34</sup> ეს შეზღუდვა წარმოადგენს გადახვევას დამკვიდრებული საერთაშორისო ნორმებიდან, რომლებიც ხაზს უსვამენ ინდივიდუალური კანდიდატურების შესაძლებლობას, როგორც სრულად წარმომადგენლობითი და ინკლუზიური საარჩევნო პროცესის ძირითად ელემენტს.

რეგისტრაციის განსხვავებული პირობები მოქმედებს როგორც საპარლამენტო წარმომადგენლობის მქონე, ასევე წარმომადგენლობის არმქონე პოლიტიკური პარტიებზე. საპარლამენტო წარმომადგენლობის არმქონე პოლიტიკურ პარტიებს 15 ივლისამდე უნდა მიემართათ ცესკოსთვის და წარედგინათ 25000 ხელმოწერა მათი განაცხადის მხარდასაჭერად.<sup>35</sup> განაცხადი სულ 30-მა პოლიტიკურმა პარტიამ შეიტანა, რომელთაგან 17 დაარეგისტრირა ცესკომ. ცესკომ არ დააკმაყოფილა 2 განაცხადება<sup>36</sup> და არ დაამტკიცა 11 სია, რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.<sup>37</sup>

საპარლამენტო წარმომადგენლობის მქონე პოლიტიკურ პარტიებს ცესკოში განაცხადების წარდგენა 30 აგვისტომდე ხელმოწერების წარმოდგენის გარეშე შეეძლოთ. 10-მა პოლიტიკურმა პარტიამ ცესკოს მიმართა და დარეგისტრირდა. 19-მა საარჩევნო სუბიექტმა პარტიული სიები კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე 2024 წლის 26 სექტემბრამდე წარადგინა. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, სრული პროპორციული სისტემის მიხედვით, პოლიტიკური ალიანსები დაუშვებელია.

26 აგვისტოს ცესკომ განმარტა, რომ კანდიდატებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში სხვა პარტიული სიით, თუ მანამდე ოფიციალურად არ შეიცვლება პარტიის წევრი. ისინი სიაში უნდა იყვნენ დარეგისტრირებული როგორც პარტიის წევრები ან არაპარტიული კანდიდატები.

---

აგრეთვე ევროპული კომისიის სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საბჭოს საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი I.1.6.c.

<sup>34</sup> ICCPR, GC 25: არჩევნებში მონაწილე პირთა უფლება არ უნდა შეიზღუდოს უსაფუძვლო მოთხოვნით, რომ კანდიდატები იყვნენ პარტიების ან კონკრეტული პარტიების წევრები“.

<sup>35</sup> რაც წარმოადგენს ამომრჩეველთა 1%-ზე ნაკლებს, კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

<sup>36</sup> ერთ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმების გამო; მეორეში, პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო.

<sup>37</sup> ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ არ წარადგინა საჭირო 25000 ხელმოწერა, ხოლო ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა მხარდამჭერთა სიები, რომლებიც შეცდომებს შეიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი სამდღიან ვადას ითვალისწინებს შესწორებისთვის, არცერთ პოლიტიკურ პარტიას დადგენილ ვადაში არ წარუდგენია შესწორებული დოკუმენტები. ორ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეს უფლებამოსილება განაცხადების შეტანისას შეუწყდა.

## საარჩევნო კამპანია და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

### საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კამპანია ოფიციალურად კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე იწყება. 26 ოქტომბრის საარჩევნო კამპანია ოფიციალურად 2024 წლის 27 აგვისტოს დაიწყო. პოლიტიკურ სუბიექტებს უფლება აქვთ გამოიყენონ მრავალფეროვანი კამპანიის ინსტრუმენტები, თუმცა მათი კამპანიის შინაარსი რამდენიმე საკანონმდებლო შეზღუდვას ექვემდებარება<sup>38</sup>, მათ შორისაა სიძულვილის ენის გამოყენება, ძალადობის წახალისება ან ეთნიკური შუღლის წაქეზება არჩევნების დროს. “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” კანონი კრძალავს: კამპანიას სხვა პოლიტიკური სუბიექტისთვის, ამომრჩევლის მოსყიდვას, ასევე ადმინისტრაციული რესურსის კამპანიის მიზნებისთვის გამოყენებას.

კამპანიის ძირითადი ინსტრუმენტებია კარდაკარ აქტივობები, აქციები და ბილბორდები. ბილბორდები არაპროპორციულადაა გამოყენებული მმართველი პარტიის მიერ და არსებობს მაგალითები, როდესაც ბილბორდების მთავარმა კომპანიამ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეკლამების შინაარსზე შენიშვნები გამოთქვა<sup>39</sup>. კამპანიის უმეტესობა რეგიონებში მიმდინარეობს.

კამპანია უაღრესად პოლარიზებულია. მასში დომინირებს გეოპოლიტიკური საკითხები, განსაკუთრებით საქართველოს ურთიერთობა რუსეთსა და ევროკავშირთან, რომელსაც მმართველი პარტია სახავს როგორც არჩევანს ომსა თუ მშვიდობას შორის, ოპოზიციური პარტიების უმეტესობა კი – როგორც არჩევანს ევროკავშირის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ მომავალს შორის. რუსეთის შეჭრა უკრაინაში, სამოქალაქო აქტივიზმი და ლგბტ+ უფლებები ინსტრუმენტალიზებულია კამპანიის მიზნებისთვის<sup>40</sup>, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დამაბულობას ისედაც მყიფე

<sup>38</sup> კანონი კრძალავს სახელმწიფო და საჯარო მოხელეების, უცხოური ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების, რელიგიური ან საქველმოქმედო დაწესებულებების, მოსამართლეების, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების, ეროვნული კომპანიების ან მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ შექმნილი ნებისმიერი იურიდიული პირის წევრების კამპანიას; ასევე, სახელმწიფო ორგანოების შენობების კამპანიის მიზნებისთვის გამოყენებას.

<sup>39</sup> “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” ENEMO-ს აცნობა, რომ მათი პოლიტიკური რეკლამა, რომელშიც ნათქვამია, „*მოიშორე ბიძინა ივანიშვილი*“, თავდაპირველად სარეკლამო კომპანია „ალმამ“ უარყო „ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართ სავარაუდო სიძულვილის ენის გამო. მას შემდეგ ენმ-მ მიაღწია შეთანხმებას „ალმასთან“ და რეკლამები ბილბორდებზე განთავსდა.

<sup>40</sup> მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოიყენა პლაკატები, რომლებიც რუსეთის შეჭრის შედეგად განადგურებულ უკრაინულს სკოლებს, რელიგიურ ღირსშესანიშნაობებსა და საგზაო ინფრასტრუქტურას ასახავს ქართულ ქალაქებს ადარებს. გარდა ამისა, მმართველმა პარტიამ გაავრცელა ვიდეო, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და აქტივისტები წარმოდგენილი იყვნენ როგორც საზოგადოების მორალური დეგრადაციის მაგალითები, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებს უპირისპირდებოდა. სამმა მედიასაშუალებამ, “ფორმულამ”, “მთავარმა არხმა” და “ტვ პირველმა” უარი განაცხადეს რეკლამების გაშვებაზე,

გარემოში. წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე განვითარებული დეზინფორმაციული ნარატივები კვლავ ვრცელდება კამპანიის განმავლობაში. ყველაზე გავრცელებული ნარატივი “გლობალური ომის პარტიის“ არსებობას შეეხება, რომელიც სახელმწიფო მოხელეების მიერ მმართველი პარტიის ომი vs. მშვიდობის ნარატივის მხარდასაჭერად გამოიყენება<sup>41</sup>.

ENEMO მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნარატივი ამახინჯებს საინფორმაციო გარემოს და აჩენს შიშის გაღვივების საფრთხეს, რამაც შეიძლება არჩევნების დღეს ამომრჩეველთა ნებაზე იქონიოს გავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ კამპანია ძირითადად მშვიდობიანია, არაერთი ინციდენტი დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიების კამპანიის აქტივისტების შევიწროების, აქციების ხელის შეშლის, ასევე პოლიტიკური პარტიების შენობებზე თავდასხმების შესახებ, რომლებიც ENEMO-ს ოპოზიციამ შეატყობინა. მაგალითად, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” მათ შენობებზე თავდასხმების, “გახარია საქართველოსთვის”<sup>42</sup> – კამპანიისთვის ხელის შეშლის, ხოლო “კოალიცია ცვლილებებისთვის” მათი კამპანიის აქტივისტებზე თავდასხმების შესახებ იტყობინება. ENEMO-სთან საუბრებში ჩართულ მხარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამართალდამცავების მიმართ უნდობლობას აცხადებს და, შესაბამისად, ან არ აცნობებს მათ ძალადობრივი ინციდენტების შესახებ, ან არ ელის მათგან საფუძვლიან გამომიებას. გარდა ამისა, ENEMO-სთან საუბრებში ჩართულ მხარეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ საზოგადოებაზე<sup>43</sup>, აქტივისტებსა და პოლიტიკურ ლიდერებზე მიყურადება ფართოდაა გავრცელებული. ასევე, მხარეები აცხადებენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გრძელდება სატელეფონო ზარები უცხოეთიდან, რომელიც “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის საწინააღმდეგო პროტესტების დროს აქტივისტებისა და პოლიტიკოსების დაშინების და მუქარის ტაქტიკა იყო<sup>44</sup>. ENEMO აღნიშნავს, რომ კამპანიის დროს შევიწროებაზე ანგარიშვალდებულების დაკისრების ნაკლებობა და მმართველი პარტიის კამპანიის

---

თუმცა ComCom-მა ისინი უფასო საეთერო დროის რეგულაციის დარღვევაში დაადანაშაულა და ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლამდე ორჯერ დაჯარიმა.

<sup>41</sup> პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ერთ-ერთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს [განაცხადა](#): “26 ოქტომბრის არჩევნები არის რეფერენდუმი, სადაც გადაწყდება, შეძლებს ომის პარტია საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას, თუ ქვეყანა მშვიდობას შეინარჩუნებს. როგორც გლობალური ომის პარტიისთვის, ისე საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხისთვის, სასწორზე იმდენად მნიშვნელოვანი რამ დევს, რომ ამ ფონზე, რისკები, ბუნებრივია, ერთი-ათად არის მომატებული.”

<sup>42</sup> “გახარია საქართველოსთვის” წარმომადგენლებმა ENEMO-ს მოახსენეს, რომ პოლიციაში მათ მიერ წარდგენილი ინციდენტებს საფუძვლიანი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

<sup>43</sup> მედიის რამდენიმე წარმომადგენელმა ENEMO-ს მოახსენა, რომ ისინი პირადად იყვნენ მიყურადების ობიექტი.

<sup>44</sup> დაინტერესებულმა მხარეებმა ENEMO-ს ვრცელი მაგალითები მიაწოდეს იმ ზარების შესახებ, რომლებიც მათ უცხოეთიდან მიიღეს “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების დროს, როდესაც მათ და მათი ოჯახის წევრებს ემუქრებოდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში მოკვლითაც კი.



მიერ ცალკეული პირების მიზანში ამოღება, ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებზე ძალადობისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

რამდენიმე კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიას, რომელთა პოლიტიკური რეკლამა ხელისუფლებას აკრიტიკებდა, შეეზღუდა უფასო საეთერო დრო იმ საარჩევნო სიისთვის *დე ფაქტო* კამპანიისთვის, რომლებზეც განაცხადეს, რომ შეუერთდებოდნენ. იმ სამართლებრივი დებულების ინტერპრეტაციაში<sup>45</sup>, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას უკრძალავს კოალიციის შექმნას, არ იყო გათვალისწინებული ალიანსების აკრძალვა, რაც უფლებელყოფს მოცემული პარტიების ცალკეულ იურიდიულ სტატუსს საარჩევნო სიების წარდგენამდე. ENEMO-სთან საუბრებში, ჩართული მხარეები აღნიშნული კანონის ფართო გამოყენებას აღიქვამენ, როგორც ოპოზიციური პარტიების მიერ არჩევნების დროს ხელისუფლების კრიტიკის სივრცის შეზღუდვად. ENEMO აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში კანონსა და პრაქტიკას შორის არათანმიმდევრულობა იკვეთება, რაც მცირე პოლიტიკური პარტიებისთვის კამპანიის შესაძლებლობებს არაპროპორციულად ზღუდავს და თრგუნავს მთავრობის კრიტიკას

ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების მაგალითები აღწერეს, რაც ENEMO-სთან მოსაუბრე მრავალი დაინტერესებული მხარის თქმით, ძირითადად განათლების სექტორში დასაქმებული ამომრჩევლების ორგანიზებისა და მათზე ზეწოლის მიზნით გამოყენებას შეეხება. სახალხო დამცველმა ასევე გამოიძია რამდენიმე საქმე, რომელიც შეეხება განათლების სექტორში პოლიტიკურ საფუძველზე დისკრიმინაციას და ამომრჩევლებზე ზეწოლის გზით განათლების სექტორის გამოყენებას, რათა მმართველი პარტიის კამპანიის ღონისძიებებს დაესწრონ<sup>46</sup>. ENEMO-ს დამკვირვებლები აფიქსირებენ ზეწოლის ცალკეულ შემთხვევებს, რომელიც ადგილობრივი დონის კომპანიებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებზე მმართველი პარტიის მხარდასაჭერად<sup>47</sup> და მმართველი პარტიის ღონისძიებებზე დასასწრებად განხორციელდა.

შეშფოთება გამოითქვა 2024 წლის 17 სექტემბერს მიღებულ “ამნისტიის შესახებ” კანონთან დაკავშირებითაც<sup>48</sup>. ENEMO-სთან მოსაუბრე ჩართულ მხარეთა უმეტესობა თვლის, რომ კანონი მთავრობას შესაძლებლობას აძლევს სამართლებრივად

<sup>45</sup> იხილეთ განყოფილება *საჩივრები და სარჩელები*.

<sup>46</sup> სახალხო დამცველმა 7 ოქტომბრისთვის [გამოძიებული საქმეების მიმოხილვა გამოაქვეყნა](#), თუმცა დაასკვნა, რომ მას დისკრიმინაციის საქმეებზე სამართლებრივი უფლება არ გააჩნია, რადგან ისინი სასამართლოშია გადაგზავნილი.

<sup>47</sup> რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირა ENEMO-ს გუნდმა ვანში.

<sup>48</sup> კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 200-ზე მეტი მუხლით მსჯავრდადებულ პატიმართა ამნისტიას.

წახალისოს მოქალაქეების დიდი ნაწილი, რომელთაც ახალი კანონმდებლობით ამნისტია შეეხება.

## წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

საქართველოს საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კამპანიების კერძო და საჯარო დაფინანსების საშუალებას იძლევა. 2024 წელს კამპანიის დაფინანსების რეგულაციაში შეტანილი ცვლილებებით იურიდიული პირების შემოწირულება აიკრძალა. გარდა ამისა, “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” კანონი კამპანიის დაფინანსების წყაროების მიმართ შეზღუდვების ფართო სპექტრს აწესებს, მათ შორის ლიმიტს სესხებზე, ხარჯებსა და მოქალაქეთა შემოწირულებებზე<sup>49</sup>. სახელმწიფო დაფინანსება ხელმისაწვდომია კვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისთვის<sup>50</sup>, თუ მათი დეპუტატების ნახევარი საპარლამენტო მანდატს არ დაკარგავს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა საკმაოდ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მესამე მხარის დაფინანსება ჯერ კიდევ არ არის რეგულირებული და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია ახლად აღმოცენებული პოლიტიკური პარტიებისთვის.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ შეიქმნა ანტიკორუფციული ბიურო (ACB), როგორც კამპანიის ფინანსურ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი მთავარი მარეგულირებელი ორგანო. მას აქვს უფლებამოსილება გამოიძიოს პარტიების ფინანსები, გამოიძახოს ფიზიკური პირები სასამართლოში და გაყინოს აქტივები სასამართლოს გადაწყვეტილებებამდე, ასევე იგი ვალდებულია უზრუნველყოს კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ 16 სექტემბრამდე წარადგინა ანგარიში კამპანიის ხარჯების შესახებ. ყველაზე მეტი შემოწირულების შესახებ მმართველი პარტია “ქართული ოცნება” იუწყება. “გირჩი - მეტი თავისუფლებას” თანამდებობრივად არ წარუდგენია ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მოთხოვნილი ანგარიში 2024 წლის 1 იანვრიდან აგვისტომდე. ანტიკორუფციული ბიუროს ეს მოთხოვნა ნაწილობრივ საარჩევნო კამპანიის პერიოდს მიღმა იყო.

პირველად, ანტიკორუფციულმა ბიურომ გამოიყენა სამართლებრივი დებულება, რომელიც საშუალებას აძლევს არასაარჩევნო სუბიექტებს დეკლარირებული საარჩევნო

<sup>49</sup> “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” კანონის მიხედვით, ფიზიკური პირების შემოწირულება შეზღუდულია წელიწადში 60 000 ლარამდე; ბანკის სესხები შეზღუდულია 1 მლნ. ლარამდე წელიწადში; მაშინ, როდესაც პოლიტიკური პარტიების დანახარჯები საარჩევნო კამპანიის აქტივობებზე არ უნდა აღემატებოდეს არჩევნების წინა წელს ქვეყნის მშპ-ის 0,04%-ს.

<sup>50</sup> “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსებას, რომლებმაც მიიღეს ხმების არანაკლებ 1%. დაფინანსება არჩევნების შედეგების პროპორციულად ნაწილდება, 15 ლარი ყოველი პირველი 50, 000 ხმისთვის და 5 ლარი ყოველ მომდევნო ხმაზე.

მიზნის მქონე სუბიექტებად” იქნენ აღიარებული და, შესაბამისად, ისევე იყვნენ ანგარიშვალდებულნი კამპანიის ხარჯებზე, როგორც პოლიტიკური პარტიები<sup>51</sup>. “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო”, მისი აღმასრულებელი დირექტორი, “აირჩიე ევროპა”, მისი აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის ყველა წევრი “დეკლარირებული პოლიტიკური მიზნის მქონე სუბიექტებად” გამოცხადდა პრო-ევროპული ან არჩევნებში მაღალი აქტივობის წამახალისებელი განცხადებებისა და ღონისძიებების გამო<sup>52</sup>. მიუხედავად იმისა, რომ კანონი სუბიექტებს არჩევნებში მონაწილეობის განზრახვის გამოცხადებას ავალდებულებს, ანტიკორუფციულმა ბიურომ დაასკვნა, რომ ეს მოძრაობები და ორგანიზაციები კამპანიას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისთვის აწარმოებდნენ.

პრემიერ-მინისტრის განცხადების<sup>53</sup> შემდეგ ანტიკორუფციულმა ბიურომ გააუქმა გადაწყვეტილება “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო”-ს, “აირჩიე ევროპა”-ს და მათთან ასოცირებული პირების<sup>54</sup> “დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად” გამოცხადების შესახებ, რამაც გააძლიერა ENEMO-სთან მოსაუბრე ჩართულ მხარეთა მიერ წამოჭრილი შემფოთება იმის შესახებ, რომ ACB მთავრობისგან დამოუკიდებლად არ მუშაობს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული საქმის შემდგომ ისინი თვითცენზურის ქვეშ არიან, რათა არ გამოცხადდნენ დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად. ENEMO მიიჩნევს, რომ ამ პრაქტიკამ უარყოფითი გავლენა იქონია გამოხატვის თავისუფლებასა და პოტენციურად გაერთიანების თავისუფლებაზე<sup>55</sup> საარჩევნო კამპანიის პერიოდში.

გარდა ამისა, ანტიკორუფციულმა ბიურომ არ დააზუსტა, გავრცელდებოდა თუ არა “უცხოური გავლენის შესახებ” კანონი დეკლარირებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად გამოცხადებულ ორგანიზაციებზე, თუ ისინი საქართველოს ფარგლებს

<sup>51</sup> ანტიკორუფციულმა ბიურომ ეს სამართლებრივი დებულება პირველად 2024 წლის 27 აგვისტოს განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაცია “თავისუფლების მოედანი–საქართველოს”, “თავისუფლების მოედნის” მოძრაობის 24 წევრის, ასევე “მრავალპარტიული დემოკრატიის აღმოსავლეთ ევროპის ცენტრისა” და მისი დირექტორის შემთხვევაში.

<sup>52</sup> ანტიკორუფციულმა ბიურომ ეს გადაწყვეტილება 2024 წლის 24 სექტემბერს მიიღო. შემდგომში “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” დამკვირვებლებს აცნობა, რომ ისინი არჩევნებზე დაკვირვების ორგანიზებას ვერ შეძლებდნენ, რადგან ის დაფინანსებული იყო უცხოური წყაროებიდან, რომელიც კამპანიის დაფინანსების რეგულაციების მიხედვით დაუშვებელია.

<sup>53</sup> პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ [ანტიკორუფციულ ბიურო-ს მოუწოდა გააუქმოს გადაწყვეტილება](#) “სახელმწიფოს ინტერესების” დასაცავად, ამავდროულად გააძლიერა მოსაზრება, რომ ეს გადაწყვეტილება სრულიად კანონიერი იყო.

<sup>54</sup> ანტიკორუფციულმა ბიურომ გადაწყვეტილების გაუქმება 2024 წლის 2 ოქტომბერს გამოაცხადა. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ მას შემდეგ არჩევნებზე დაკვირვება განაახლა.

<sup>55</sup> მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია ასევე აღნიშნავს, რომ გარკვეული სირთულეებია სამოქალაქო ინიციატივებსა და დამკვირვებელთა რეკრუტირებაში, რაც გამოწვეულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ ნეგატიური კამპანიითა და მოქალაქეთა სურვილის ნაკლებობით აქტივობის დაუკავშირდნენ.

გარეთ არსებული სუბიექტების მიერ ფინანსდებიან, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ორგანიზაციების სამართლებრივ გაურკვევლობას<sup>56</sup>.

## მედია

---

მედია გარემო მრავალფეროვანია, მაგრამ არა დამოუკიდებელი პოლიტიკური გავლენისგან. კერძო მედიის მფლობელები და მეწილეები ხშირად პოლიტიკური პარტიების მთავარი დონორებიც არიან.

მოქალაქეთა უმრავლესობისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ ტელემედია რჩება, რასაც მოჰყვება სოციალური მედია, რომელიც ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიღების უპირველესი წყაროა. Facebook ყველაზე ხშირად გამოყენებული სოციალური მედიის ქსელია, ხოლო “ტელეკომპანია იმედი” და “ტელეკომპანია რუსთავი”, რომლებიც მმართველ პარტია “ქართულ ოცნებასთან” დაახლოებულად აღიქმებიან, ყველაზე ყურებადი ტელევიზიებია, რომელთაც ოპოზიციასთან აფილირებული “მთავარი არხი”, “ტვ პირველი” და “ფორმულა” მოჰყვებიან.

ონლაინ მედიის პორტალები პოლიტიკურად ნაკლებად მიკერძოებულად მიიჩნევა, თუმცა ENEMO-სთან მოსაუბრე რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ შეშფოთება გამოთქვა ახლახან მიღებული “უცხოური გავლენის შესახებ” კანონის აღსრულების ნეგატიურ ზემოქმედებაზე, რომელიც ონლაინ პორტალებზე დამოუკიდებელ გაშუქებას შეიძლება ეხებოდეს ENEMO-სთან მოსაუბრე მხარეთაგან ოპოზიციასთან კავშირში მყოფი ყველა მედიასაშუალება იტყობინება, რომ მათ აშინებთ მათი ჟურნალისტების უსაფრთხოება, რაც გამოწვეულია 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების დროს ჟურნალისტებზე თავდასხმებთან მიმართებაში უმეტეს შემთხვევაში ინსტიტუციური რეაგირების არარსებობით.

საარჩევნო კოდექსი საერთო მაუწყებელს ავალდებულებს უფასო საეთერო დრო დაუთმოს კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებს. გარდა ამისა, “მაუწყებლობის შესახებ” კანონის 51-ე მუხლის თანახმად, მაუწყებელს შეუძლია არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიას მიანიჭოს კვალიფიციური სტატუსი, თუ მას აქვს 4%-ზე მეტი იმ

---

<sup>56</sup> კამპანიის დაფინანსების რეგულაციების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ დაფინანსებას საზღვარგარეთიდან და იურიდიული პირებიდან, მაგრამ გამოცხადდნენ დეკლარირებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად, დაარღვევენ კანონს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და მათ დაეკისრებათ ჯარიმა იმ ხარჯის ორმაგი ოდენობით, რომელიც უნდა დაბრუნდეს სახელმწიფო ბიუჯეტში. მსგავს მოძრაობებსა და ორგანიზაციებს ასევე შეიძლება დაეკისროთ სანქციები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით, თუ აღმოჩნდება, რომ ისინი დაფინანსების 20%-ზე მეტს საქართველოს ფარგლებს მიღმა იღებენ.

გამოკითხვებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სამართლებრივ პირობებს<sup>57</sup>. ამის შემდეგ პარტიას უფასო საეთერო დრო ეძლევა. ყველა მაუწყებელი ვალდებულია ჩაატაროს საარჩევნო დებატები. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ მაუწყებლებს აქვთ დამატებითი ვალდებულება, უზრუნველყონ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა გადაცემის ქესტების ენაზე თარგმნა.

ელექტრონულ მედიას კომუნიკაციების კომისია (ComCom) ზედამხედველობს, რომელსაც სამართლებრივი მანდატი და ვალდებულება აქვს აწარმოოს ზოგადი მაუწყებლების მონიტორინგი უფასო საეთერო დროის განაწილებასთან და დებატების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ComCom-მა ასევე პროაქტიულად უნდა შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა სამართლებრივ პირობებს ელექტრონულ მედიაში, მათ შორის ონლაინ პორტალებში გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები.

ComCom საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 55 საერთო მაუწყებლის რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს ახორციელებს. 13 ოქტომბრის მდგომარეობით, კომისიამ მედიასაშუალებების მიმართ 14 დარღვევის გამო აღძრა საქმე<sup>58</sup>, რომლებიც ძირითადად უფასო საეთერო დროის დარღვევას შეეხებოდა, რის გამოც მედიასაშუალებებს სანქციები დაეკისრათ შემდეგი ქმედებებისთვის: უფასო საეთერო დროის მიწოდება კამპანიის პერიოდის მიღმა; უფასო საეთერო დროის უზრუნველყოფა ვალდებულების არარსებობის მიუხედავად. ; უფასო საეთერო დროის მიწოდება პარტიებისთვის, რომლებმაც მიიღეს კვალიფიციური სტატუსი გამოკითხვების საფუძველზე და უფასო საეთერო დროის მიწოდება იმ პარტიებისთვის, რომლებმაც განაცხადეს, რომ არჩევნებში მონაწილეობას სხვა პარტიებთან ერთად მიიღებენ.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაში ComCom-მ დაუწესა სანქცია “ფორმულას” პოლიტიკური პარტიისთვის “გახარია - საქართველოსთვის” თავისუფალი დროის მინიჭებისთვის, იმის საფუძველზე, რომ მას 4%-ზე მეტი მხარდაჭერა ჰქონდა<sup>59</sup> საარჩევნო წელსა და წინასაარჩევნო კამპანიის წინა თვეში ჩატარებულ გამოკითხვებში. ComCom

<sup>57</sup> საარჩევნო კოდექსი ადგენს მაუწყებლების პასუხისმგებლობას უზრუნველყონ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მეთოდოლოგიის შემთხვევით შერჩევაზე დაფუძნება, 95%-იანი სანდოობა და 3%-ზე ნაკლები ცდომილების ზღვარი, გამოკითხვის სანდოობის შემოწმება; სამეცნიერო ახსნის მიწოდება სხვა გამოქვეყნებულ გამოკითხვებთან მნიშვნელოვანი სხვაობისას; მეთოდოლოგიის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც შედეგების დამოუკიდებელი გადამოწმების საშუალებას იძლევა; და 51-ე მუხლის პარ. 17(ფ)-ით განსაზღვრული დეტალების მითითება.

<sup>58</sup> ComCom-მა განმარტა, რომ მას მხოლოდ ადმინისტრაციული ოქმების შედგენა შეუძლია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებები აღსრულებისთვის სასამართლოებმა უნდა მიიღონ. სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ გადაუხვევია ComCom-ის შეფასებებისგან.

<sup>59</sup> პარტიამ “გახარია საქართველოსთვის” ENEMO-ს შეატყობინა, რომ მათი მოთხოვნა “ფორმულა TV”-ს დაკვეთით განხორციელებულ Edison Research-ის კვლევასა და “ტელეკომპანია იმედის” დაკვეთით განხორციელებულ გორბის გამოკითხვებზე იყო დაფუძნებული, რომელთაგან ორივე მათგანი აკმაყოფილებდა პოლიტიკური პარტიის კვალიფიციენტულად ცნობის სამართლებრივ პირობებს. ComCom-მ ENEMO-სთან შეშფოთება გამოთქვა, რომ “გახარია საქართველოსთვის” კვალიფიციური სტატუსის მინიჭება სხვა პარტიების, რომლებიც მათი საპარლამენტო სტატუსის საფუძველზე კვალიფიცირდებიან, უფასო საეთერო დრო შემცირებას გამოიწვევდა.

ამტკიცებს, რომ გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმას, რომ მედიამ სათანადოდ არ შეისწავლა გამოკითხვის მეთოდოლოგია.

ENEMO აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ ComCom-ს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გამოქვეყნების მომენტში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია, მისი სამართლებრივი ვალდებულებით, პროაქტიულად შეემოწმებინა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, პარტიას “გახარია - საქართველოსთვის” გაუმართლებლად შეეზღუდა უფასო საეთერო დრო.

ComCom-ს ასევე პოზიტიური ვალდებულება აქვს, დაარეგულიროს კამპანიაში სიძულვილის ენის გამოყენება დამალადობისა და ეთნიკური სიძულვილის გაღვივება. თუმცა მან მიიღო გადაწყვეტილება, პროაქტიულად არ დაარეგულიროს ეს სფერო. სანაცვლოდ, ComCom-მ გადაწყვიტა, რომ ამ შემთხვევებში მხოლოდ *საჩივრების* საფუძველზე უნდა იმოქმედოს. პრაქტიკაში, ამან გამოიწვია ის, რომ მედიასაშუალებები შიდა მარეგულირებელ მექანიზმებსა და სამართლებრივ ექსპერტიზას უნდა დაეყრდნონ, რათა შეაფასონ, რამდენად არღვევს პოლიტიკური რეკლამა კამპანიისას სიძულვილის აკრძალვას. ოპოზიციასთან დაკავშირებული რამდენიმე მედიასაშუალება დაჯარიმდა “ქართული ოცნების” რეკლამის ეთერში განთავსებაზე უარის თქმის გამო. რეკლამა მათი შეფასებით, სიძულვილის ენას შეიცავდა.

ENEMO მიიჩნევს, რომ ComCom-ის გადაწყვეტილებამ, პროაქტიულად არ განიხილოს სიძულვილის ენის დარღვევის ფაქტები, მედია საშუალებები დაჯარიმების გაზრდილი რისკის წინაშე დააყენა.

13 ოქტომბრის მდგომარეობით, დებატები არ ჩატარებულა და ზოგიერთმა მედიასაშუალებამ ეჭვქვეშ დააყენა დებატების მიზანი, თუ მასში მმართველი პარტია “ქართული ოცნება” მონაწილეობას არ მიიღებდა<sup>60</sup>. ComCom-ს ელექტრონული მედიის სანქცირება დებატების ჩატარების წარუმატებლობის გამო მხოლოდ არჩევნების შემდგომ შეუძლია, პირველადი სანქციით - *გაფრთხილებით*. ENEMO მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი სამართლებრივი სტიმული მედიასაშუალებებისთვის, რათა მათ დებატები ჩაატარონ, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს მმართველი პარტიის მხრიდან დებატებში მონაწილეობაზე რეაგირების ნაკლებობა.

პოლიტიკური პარტიების უმეტესობა სოციალურ მედიას კამპანიისთვის იყენებს, განსაკუთრებით მცირე არაკვალიფიციური პარტიები, რომლებსაც არ აქვთ წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე. სოციალური მედია ტრადიციულ მედიასთან კომბინაციაში დეზინფორმაციული ნარატივების გასავრცელებლად გამოიყენება, რომლებიც კამპანიაში და კამპანიის პერიოდში განვითარდა. მმართველი პარტია

<sup>60</sup> რამდენიმე მედიასაშუალებამ ENEMO-ს აცნობა, რომ მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ არაერთხელ თქვა უარი მათ სატელევიზიო გადაცემებში მისვლაზე. ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სამართლიანი არ იქნება მმართველი პარტიის დებატები ოპოზიციის რამდენიმე კანდიდატის წინააღმდეგ.

“ქართული ოცნება” მუდმივად აძლიერებს “გლობალური ომის პარტიის” არსებობის ნარატივს, რომლის მიზანი თითქოსდა საქართველოს რუსეთთან ომში ჩართვაა. აღნიშნული ნარატივი წინასაარჩევნო კამპანიამდე განვითარდა, მაგრამ ის კვლავაც აძლიერებს “ქართული ოცნების” კამპანიის გზავნილს 26 ოქტომბრის არჩევნების შესახებ, რომელიც არჩევანია ომსა და მშვიდობას შორის. საარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან, იყო მცდელობა შემუშავებულიყო სხვა ნარატივი, რომელიც არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიების სანდოობას დაასუსტებდა. ამისათვის სახელმწიფო მოხელეები<sup>61</sup> და რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური<sup>62</sup> ENEMO-სა<sup>63</sup> და ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) მიზანმიმართულად უტევდნენ.

ENEMO-ს მიაჩნია, რომ ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიებისა და მედია საშუალებების მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები ზიანს აყენებს საარჩევნო პროცესს დაშეახსენებს მათ, რომ არჩევნებზე დამოუკიდებელი დაკვირვება საარჩევნო ლეგიტიმაციის ქვაკუთხედად რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედიის აქტივობა რეგულირებული არ არის, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ონლაინ საინფორმაციო სივრცის დასაცავად Meta-ს საფრთხეზე რეაგირების ინსტრუმენტი გამოიყენეს. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED-მა გაასაჩივრა ქსელი, რომელიც საქართველოს პოლიტიკის შესახებ კოორდინირებულ პოსტებს აქვეყნებდა. Meta-ს გამოძიებით კი დადასტურდა, რომ სოციალურ მედია ანგარიშებში არაავთენტურ კოორდინირებულ ქმედებათა ქსელი რუსეთიდან იმართებოდა<sup>64</sup>. Meta-მ აგვისტოში დაადასტურა, რომ 76 ანგარიშისგან, 30 გვერდისგან და 11 ინსტაგრამ-ანგარიშისგან შექმნილი ქსელი წაშალა.

<sup>61</sup> იხილეთ მეტი დამკვირვებლების სექციაში.

<sup>62</sup> იხილეთ მეტი: <https://civil.ge/archives/623606>

<sup>63</sup> მთავრობისა და მმართველი პარტიის მიერ მიმდინარეობს ცილისწამების კამპანია საერთაშორისო დამკვირვებლების, მათ შორის ENEMO-ს წინააღმდეგ. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ENEMO საექვო პრაქტიკაში დაადანაშაულა და ეჭვქვეშ დააყენა არჩევნებზე სადამკვირვებლო საერთაშორისო მისიის სანდოობა ორგანიზაციის შესახებ მცდარი ინფორმაციის გამოყენებით. ანალოგიურად, გივი მიქანაძემ „ქართული ოცნებიდან“ შემფოთება გამოთქვა არჩევნების მონიტორინგის ორგანიზაციების მიუკერძოებლობის შესახებ. მისი თქმით, რეგისტრირებული 49 ადგილობრივი მონიტორინგის ჯგუფიდან 26 პოლიტიკურ პარტიებთან იყო დაკავშირებული. მან ასევე ENEMO-ს წევრები მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ საჯარო ოპოზიციაში დაადანაშაულა და საერთაშორისო მისიებს „მოუწოდა“, რომ დაეყრდნონ ობიექტურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანგარიშებს და არა მიკერძოებულ წყაროებს.

<sup>64</sup> Meta-მ [დაადასტურა ქსელის არსებობა და ფუნქციონირება](#), რომელიც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენების მოხდენას ისახავდა მიზნად. კონკრეტულად საქართველოში, ქსელი ყურადღებას ამახვილებდა “უცხოური გავლენის გამკვირვალლობის შესახებ” კანონის წინააღმდეგ მომიტინგეების კრიტიკასა და ხელისუფლების მხარდაჭერაზე.

## გენდერული წარმომადგენლობა

საქართველოში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტში მამაკაცები იკავებენ დომინანტურ როლს. დაბალია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ქალები საპარლამენტო მანდატების მხოლოდ 19%-ს იკავებენ<sup>65</sup>. გარდა ამისა, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა, მათ შორის ფემიციდი<sup>66</sup>, ქვეყანაში საჯარო შეშფოთების საგანია. ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ მიმართული ნარატივები ძლიერია და ხშირად მოიცავს სექსისტურ განცხადებებს. აღსანიშნავია, რომ ქალები ხშირად ხდებიან როგორც მმართველი ძალის, ისე ოპოზიციური პარტიების სამიზნე ობიექტები<sup>67</sup>.

ქალთა მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში ისტორიულად შეზღუდული გახლდათ, თუმცა გენდერული კვოტები ამ დისბალანსის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. 2020 წლისთვის ქალებს საქართველოს პარლამენტში მანდატების მხოლოდ 20% ეკავათ, რაც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მცირედით ადგილობრივ საკრებულოებში 27%-მდე გაიზარდა. ამ საკითხის გადასაჭრელად, საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2020 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა პროპორციული წარმომადგენლობისთვის გენდერული კვოტების სისტემა დაამკვიდრა. კერძოდ, ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებში პროპორციული სიებისთვის დადგინდა 1/2 გენდერული კვოტა (მინიმუმ ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ყოველ ორ კანდიდატში), ხოლო პარლამენტის პროპორციული სიებისთვის 1/4 გენდერული კვოტა (მინიმუმ ერთი განსხვავებული სქესის პირი ყოველ ოთხ კანდიდატში)<sup>68</sup>. 2021 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის გენდერული კვოტა შეიცვალა და პროპორციული სიებისთვის "1/3 გენდერული კვოტა" დაწესდა. წინა კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებდა დეტალურ პროცედურას, რომელიც გულისხმობდა

<sup>65</sup> UNDP-ის მონაცემების მიხედვით.

<sup>66</sup> Civil.ge-ის ინფორმაციით, 2018-დან 2022 წლამდე ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის 183 შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 66 ფემიციდად დაკვალიფიცირდა.

<sup>67</sup> მაგალითად, სექტემბერში ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ("ნაციონალური მოძრაობის წევრი") თანამდებობიდან გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც "ქართული ოცნების" პოლიტიკოს ქალებს "ნახმარი" უწოდა. ამავე დროს, ამ შემთხვევამდე ორი კვირით ადრე, კულტურის მინისტრმა რამდენიმე ოპოზიციონერი ქალის წინააღმდეგ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც მათ „უმადურები“, „უნიჭოები“, „დამჭკნარი“ და ხელმოცარული ("ლუზერი") უწოდა. მან ასევე აღნიშნა რომ, ოპოზიციონერი ქალი პოლიტიკოსები ამომრჩევებს ქალებისთვის ხმის მიცემის სურვილს უკარგავენ.

<sup>68</sup> 2020 წელს, საარჩევნო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან ერთად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონს ახალი დებულება დაემატა. საჯარო დაფინანსების უფლების მქონე პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ მიიღონ 30%-ით მეტი, თუ მათი სიის ყოველ 10 კანდიდატში მინიმუმ სამი კანდიდატი თითოეული სქესიდან იქნება წარმოდგენილი. ეს დამატებითი დაფინანსება პარტიაში არსებული ქალთა ორგანიზაციების საქმიანობისთვისაა განკუთვნილი. იგივე წესი აისახა საარჩევნო კოდექსში საპარლამენტო და ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებისთვის პარტიული სიების წარდგენასთან დაკავშირებით.



დეპუტატების შეცვლას საპარლამენტო ვადის განმავლობაში სხვა იმავე სქესის პირით, რათა ასეთ შემთხვევებში შენარჩუნებულიყო გენდერული კვოტა.

2023 წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტების გაუქმების მიზნით ცვლილებები შევიდა, რასაც მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა როგორც ქალთა უფლებების დამცველთა, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო ცვლილებებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვოტების გაუქმება ძირს უთხრის ქალთა მონაწილეობის ზრდის მიმართულებით მიღწეულ პროგრესს. მიუხედავად პრეზიდენტის ჩარევისა, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის მაისში ვეტო დაძლია და გააუქმა გენდერული კვოტები. ამ საკანონმდებლო ცვლილების გავლენა უკვე აშკარაა. მაგალითად, „ქართული ოცნების“ პროპორციულ სიაში ქალთა რაოდენობა პირველ 60 კანდიდატს შორის 2020 წელს არსებული 15-დან (25%) 2024 წელს 8-მდე (13.3%) შემცირდა. ეს კლება ასახავს უფრო ფართო ტენდენციას სხვადასხვა პარტიაში, რაც ქალების წამყვან თანამდებობებზე წარდგენისგან მუდმივ თავშეკავებაზე მიუთითებს<sup>69</sup>.

ENEMO აღნიშნავს, რომ გენდერული კვოტების გაუქმება საქართველოში გენდერული თანასწორობისთვის სერიოზულ უკუსვლას წარმოადგენს. კვოტების არარსებობა ახლა პარტიებს საშუალებას აძლევს უგულებელყოფონ ქალი კანდიდატების მინიმალური ზღვარი, რაც პოტენციურად შეამცირებს ქალთა წარმომადგენლობას მომავალ არჩევნებში. უფრო მეტიც, ის აჩენს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ქართულ პოლიტიკაში გენდერული ბალანსისთვის უახლოეს წლებში რთულად მიღწეულმა პროგრესმა შეიძლება უკუსვლა განიცადოს. გენდერული კვოტების გაუქმება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას<sup>70</sup>, რომელიც სპეციალურ ზომებს ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს.<sup>71</sup>

<sup>69</sup> ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, მმართველ პარტიასთან შედარებით, გენდერული წარმომადგენლობისადმი შედარებით ძლიერ, თუმცა არა იდეალურ, ერთგულებას იჩენს. მაგალითად, "ძლიერი საქართველოსთვის - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!" და „კოალიცია ცვლილებებისთვის- გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ თავიანთ პირველ 20 კანდიდატს შორის 9 და 8 ქალი კანდიდატი ჰყავთ წარმოდგენილი (45% და 40%). პარტიებმა „გახარია საქართველოსთვის“ და „ერთობა - ნაციონალური მოძრაობა“ პირველ 20 კანდიდატს შორის 6 ქალი შეიყვანეს (30%). თუმცა, უკანასკნელმა პარტიამ („ერთობა – ეროვნული მოძრაობა“) მხოლოდ 7 ქალი შეიყვანა პირველ 40 კანდიდატს შორის (17.5%), რაც 2020 წელთან შედარებით შემცირებული მაჩვენებელია.

<sup>70</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“

<sup>71</sup> ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec(2003)3 "პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ" მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, დანერგონ ეფექტური მექანიზმები, რათა უზრუნველყონ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რესურსებზე თანარი ხელმისაწვდომობა, როგორც ქალებსათვის, ისე მამაკაცებისათვის, რათა დაძლიონ მუდმივი გენდერული უთანასწორობა. რეკომენდაციის თანახმად, დაბალანსებული მონაწილეობა გულისხმობს, ისეთ

მეორეს მხრივ, ENEMO აღიარებს ცესკოს ძალისხმევას, ხელი შეუწყოს ქალთა აქტიურ ჩართულობას საარჩევნო პროცესებში. მაგალითად, პოლიტიკური პარტიების ქალ წარმომადგენელთათვის ორგანიზდა ტრენინგები, რაც მიზნად ისახავდა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის საშუალებების შესწავლას და მათი საარჩევნო უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.<sup>72</sup>

## ეროვნული უმცირესობები

---

საქართველოს კონსტიტუცია უმცირესობათა უფლებებს უზრუნველყოფს, მათ შორის მათ პოლიტიკურ მონაწილეობას. აღნიშნული მხარდაჭერილია ისეთი კანონებით როგორცაა: "ზოგადი განათლების შესახებ" კანონი<sup>73</sup>, რომელიც უმცირესობათა ენებზე განათლების მიწოდებას ითვალისწინებს, და "სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია", რომელიც ინკლუზიურობას ფორმალურად უწყობს ხელს<sup>74</sup>.

საქართველოს არასდროს ჰქონია რაიმე კონკრეტული პოზიტიური მექანიზმი, რომელიც ეროვნული უმცირესობების საკანონმდებლო თუ თვითმმართველობის ორგანოებში ადეკვატურ წარმომადგენლობას უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას არ გააჩნია საკონსტიტუციო დონეზე არსებული საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც უმცირესობების საჭიროებებსა და პერსპექტივებს გაითვალისწინებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პარლამენტში უმცირესობების წარმომადგენლობისთვის ფორმალური კვოტები არ არსებობს, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიები კანონით არ არიან ვალდებული უმცირესობათა კანდიდატების მინიმალური რაოდენობა უზრუნველყონ. შედეგად, უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვა ხშირად უფრო პოლიტიკურ სტრატეგიებზეა დამოკიდებული, ვიდრე საკანონმდებლო მანდატებზე. პარტიებმა შესაძლოა ჩართონ უმცირესობათა წარმომადგენლები სხვადასხვა თემიდან ხმების მოსაზიდად, მაგრამ ეს მიდგომა არათანმიმდევრული რჩება.<sup>75</sup>

---

გენდერულ წარმომადგენლობას, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ პოლიტიკურ ან საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში არც ერთი გენდერი არაა 40%-ზე ნაკლები წარმომადგენლობით.

<sup>72</sup> მაგალითად, 4 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა ერთ-ერთი ასეთი [ღონისძიება](#).

<sup>73</sup> [ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი](#).

<sup>74</sup> [სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო სტრატეგია კრიტიკას](#) იწვევს თავისი არაზუსტი და ზოგადი მიდგომის გამო, განსაკუთრებით განხორციელების კუთხით. სტრატეგიას აკლია კონკრეტული და ქმედითი გეგმის არსებობა ეთნიკური უმცირესობების განათლებისა და ინტეგრაციის პოლიტიკის მიმართულებით. სპეციფიკის ნაკლებობა ართულებს სტრატეგიის პოტენციური ეფექტურობის შეფასებას და იწვევს შემფოთებას, განსაკუთრებით ამ სფეროში ჩადებული ხანგრძლივი ძალისხმევის გათვალისწინებით.

<sup>75</sup> 2020 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა 6-მდე შემცირდა, მაშინ როცა 2016 წელს მათი რიცხვი 11 იყო. 2016 წელსაც კი, როდესაც პარლამენტში ეთნიკური

ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 13,2%-ს შეადგენენ. საარჩევნო მასალების ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად, მათ შორის ბიულეტენები, ითარგმნება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ხოლო საარჩევნო უბნებზე ხელმისაწვდომია ორენოვანი პერსონალი. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებიდან მხოლოდ 2% წარმოადგენს უმცირესობებს<sup>76</sup>. 2023 წლის ოქტომბრიდან ცესკო უმცირესობებზე მიმართულ ფართო საინფორმაციო კამპანიას უძღვეს. საარჩევნო პროცესებში ინფორმირებულობისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად კამპანიის ფარგლებში პრაქტიკული დემონსტრაციები და ტრანსლაციები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ტარდება. ეს ძალისხმევა მოიცავს ისეთ რეგიონებს, როგორებიცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, სადაც ბიულეტენები ადგილობრივ ენებზე რიგდება, რათა გაუმჯობესდეს უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობა.

ENEMO აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობების კვოტების არარსებობა ეროვნულ პოლიტიკაში მათი წარმომადგენლობის მუდმივად დაბალ დონეს განაპირობებს, რაც საკანონმდებლო პროცესებში უმცირესობების ხმების სათანადოდ წარმოჩენას ართულებს.

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობა

საქართველომ პროგრესული სამართლებრივი ჩარჩოების მეშვეობით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების მიმართულებით. საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს, ხმის მიცემის უბნების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის ვალდებულებას, ხოლო მათთვის განკუთვნილი შეღავათები მოიცავს, მაგალითად, პანდუსების განთავსებას, პოლიტიკური რეკლამის ჟესტების ენაზე თარგმნას<sup>77</sup>, და ხელმისაწვდომ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად ხელახალ რეგისტრაციას<sup>78</sup>. გარდა ამისა, შემოღებულია ტაქტილური ბიულეტენების სახელმძღვანელო და გამაძლიერებელი ფურცლები,

უმცირესობების წარმომადგენლობა ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი იყო (7.3%), ეს მაჩვენებელი მაინც თითქმის ორჯერ ნაკლები იყო საერთო მოსახლეობაში უმცირესობების წილთან შედარებით, რომელიც 13.2%-ს შეადგენდა.

<sup>76</sup>საოლქო საარჩევნო კომისიის 1241 წევრიდან 24 სომეხი და ერთი აზერბაიჯანელია.

<sup>77</sup>„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი: „პოლიტიკური/წინასარჩევნი რეკლამის გადაცემისას ეკრანის კუთხეში უნდა განთავსდეს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“. ასეთ რეკლამას თან უნდა ახლდეს ჟესტურ ენაზე თარგმანი, რომელიც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.“

<sup>78</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 200-ე მუხლი: "ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებში ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, რომელიც განთავსებულია შესაბამისი ადგილობრივი მკვირთარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. ამისათვის, მან კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-11 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ან საუბნო საარჩევნო კომისიას".

მხედველობადაქვეითებული ამომრჩევლების დამატებითი მხარდაჭერისათვის<sup>79</sup>. ეს დებულებები მიზნად ისახავს, უზრუნველყოს შშმ პირების წვდომა პოლიტიკურ კამპანიებზე და მათ მიერ დამოუკიდებლად და ღირსეულად ხმის მიცემა. გარდა ამისა, ცესკომ გამართა საინფორმაციო შეხვედრების სერია მხედველობადაქვეითებულ ამომრჩევლებთან<sup>80</sup> და მოამზადა სპეციალური თარჯიმნები საარჩევნო უბნებზე სმენადაქვეითებული ამომრჩევლების დასახმარებლად<sup>81</sup>.

თუმცა, ამ სამართლებრივი წინსვლის პრაქტიკული იმპლემენტაცია კვლავ არათანმიმდევრულია, განსაკუთრებით სოფლად, სადაც საარჩევნო უბნები ხშირად არ აკმაყოფილებს საჭირო ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებს. ბევრი საარჩევნო უბანი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობის ძირითად მოთხოვნებს, რაც ქმნის ბარიერებს და შშმ პირებს საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მოტივაციას უკარგავს. ENEMO აღნიშნავს, რომ კანონსა და მის აღსრულებას შორის ეს განსხვავება ხაზს უსვამს სისტემურ გამოწვევებს, როგორცაა ურბანული ცენტრებიდან მოშორებულ რეგიონებში რესურსებისა და ზედამხედველობის ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ხმის მიცემის ხელმისაწვდომი ვარიანტებისა და საარჩევნო მასალების მიწოდებისთვის გაღებული ძალისხმევა მნიშვნელოვანია, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა მოქალაქის სრული საარჩევნო ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ENEMO-ს დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ხმის მიცემის უბნებზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით გარკვეული პროგრესისა<sup>82</sup>, არსებული ხელმისაწვდომობა კვლავაც არათანმიმდევრულია. გარდა ამისა, შეზღუდულია შშმ პირთა ჩართულობა საარჩევნო ორგანოების მუშაობაში. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ზუგდიდში, საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებად შშმ პირები საერთოდ არ არიან დანიშნულნი. ENEMO აღნიშნავს, რომ მცდარი წარმოდგენები შშმ პირების მიერ საარჩევნო მართვის ორგანოებში მუშაობის შესაძლებლობის შესახებ კვლავაც არსებობს, რაც ხაზს უსვამს დამატებითი ძალისხმევის აუცილებლობაზე, უზრუნველყონ როგორც ხელმისაწვდომობა ასევე მაი მონაწილეობა.

<sup>79</sup> საქართველოს საარჩევნო კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „საარჩევნო უბნებზე ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს“.

<sup>80</sup> [შეხვედრები](#) მოეწყო IFES-თან და საქართველოს უსინათლოთა კავშირთან თანამშრომლობით.

<sup>81</sup> [ტრენინგი](#) ჩატარდა 17-19 სექტემბერს საქართველოს ყრუთა კავშირთან თანამშრომლობით და IFES-ის ფინანსური მხარდაჭერით.

<sup>82</sup> მაგალითად, გორისა და ქარელის მიმდებარე სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

## საჩივრები და სარჩელები

---

საარჩევნო სუბიექტები, საინიციატივო ჯგუფები, მათი წარმომადგენლები და სადამკვირვებლო ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან საარჩევნო დავებზე სარჩელები შეიტანონ. ამომრჩევლებს შეუძლიათ საჩივარი წარადგინონ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი პირადი უფლებები ირღვევა<sup>83</sup>. საარჩევნო დავების უმეტესობა დაჩქარებული პროცედურით განიხილება, ხოლო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს უფრო მაღალ ინსტანციებში, მათ შორის რაიონულ ან საქალაქო სასამართლოებში, საბოლოოდ კი სააპელაციო სასამართლოში. პარალელური იურისდიქცია კანონმდებლობიდან მთლიანად ამოღებულია .

საარჩევნო დავების გადაწყვეტის დაჩქარებული ვადები მათ სწრაფად მოგვარებას ისახავს მიზნად, რაც გადამწყვეტია საარჩევნო პროცესის იმპულსის შესანარჩუნებისა და შედეგების გამოცხადების შეფერხების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ხანმოკლე ვადები, განსაკუთრებით სააპელაციო სასამართლოსთვის, შემფოთების საგანი გახდა ეუთო/ოდირისა (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში<sup>84</sup>, ვინაიდან ამან შესაძლოა შეზღუდოს საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება და საქმეთა საფუძვლიანი მომზადების შესაძლებლობა. სასამართლოში საჩივრების შეტანისა და განხილვის ვადები ჯერ კიდევ ძალიან მოკლეა. კანონი ითვალისწინებს ორდღიან ვადას სასამართლოში საჩივრის შეტანისა და განხილვისთვის, დამატებით ერთდღიან ვადას სააპელაციო სასამართლოში შემდგომი საჩივრის შესატანად და ორი დღის ვადას მის განსახილველად. ENEMO აღნიშნავს, რომ ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სიზუსტესა და სამართლიანობაზე, განსაკუთრებით უფრო რთული სასამართლო დავებისა და შეზღუდული სამართლებრივი რესურსების მქონე მხარეებისთვის.

ENEMO აღნიშნავს, რომ ხელმისაწვდომია არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების ონლაინ რეესტრი, რომელიც როგორც საჩივრებზე, ასევე შესაბამის გადაწყვეტილებებზე საზოგადოების წვდომას უზრუნველყოფს . გარდა ამისა, ყველა განმხილველი ორგანო, მათ შორის საარჩევნო კომისიები და სასამართლოები, ზოგადად იცავენ ამ დავების გადაწყვეტის დადგენილ ვადებს, რაც დროულ სამართლებრივ რეაგირებას უზრუნველყოფს.

13 ოქტომბრის მდგომარეობით, საარჩევნო ადმინისტრაციაში სულ 113 საჩივარი შევიდა. აქედან 32 საჩივარი განხილვის პროცესში რჩება და მხოლოდ 3

---

<sup>83</sup>საქართველოს საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლი

<sup>84</sup>ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე, ვენეციის კომისია, 127-ე პლენარული სესია, 2021 წლის 2-3 ივლისი; ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) ერთობლივი მოსაზრება საარჩევნო კოდექსსა და პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე, 133-ე პლენარული სხდომა, 2022 წლის დეკემბერი.

დაკმაყოფილდა. დარჩენილი საჩივრები არ დაკმაყოფილდა ან არ განიხილეს. საჩივრების უმეტესობა ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას (51) (კომისიის გახსნის, დახურვის, წევრების არჩევისა და ანაზღაურების ჩათვლით), ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებას (15) და საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას (19). სასამართლოებმა დაახლოებით 30 საარჩევნო საქმეზე გამოიტანეს გადაწყვეტილება, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა უფასო საეთერო დროის განაწილებას, მაუწყებლების უფლებას პარტიების კვალიფიციურ სუბიექტებად აღიარებაზე, საზღვარგარეთ ხმის მიცემას და საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტების აღიარებას. სასამართლო გადაწყვეტილებების არსებითად ჩაღრმავების გარეშე, ჩვენი ანალიტიკოსების შეფასებით, სასამართლოები ფართო ინტერპრეტაციას იყენებენ შეზღუდვების დაწესებისას, მაშინ როცა უფლებების გაფართოების ან დაცვისას უფრო ვიწრო და ფორმალისტურ მიდგომებს ირჩევენ. შესაბამისად, სასამართლო ხშირად აღიქმება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების გამაძლიერებელი, ვიდრე შემზღუდველი.

## დამკვირვებლები

---

### ადგილობრივი დამკვირვებლები

ადგილობრივი დამკვირვებლების მართვის საკანონმდებლო ბაზას საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია არჩევნების დღემდე არანაკლებ ერთი წლით ადრე საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი უნდა იყოს. არჩევნებზე ოფიციალურად დასაკვირვებლად არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გაიარონ ფორმალური აკრედიტაციის პროცესი ცესკოს მეშვეობით. ამისათვის საჭიროა დააკმაყოფილონ შემდეგი კრიტერიუმები: მიუკერძოებლობა, პარტიული კუთვნილების არქონა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გამოცდილება<sup>85</sup>.

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც დემოკრატიული სტანდარტების დაცვის მიზნით მოქმედი დამოუკიდებელი დამკვირვებლები, დიდი ხანია გადამწყვეტ როლს ასრულებენ საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მათი საქმიანობა იმაზე კრიტიკული ხდება, ვიდრე ოდესმე. აღნიშნული განპირობებულია სამოქალაქო საზოგადოებასა და მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ შორის მზარდი დაძაბულობით. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ტრადიციულად ჩართულნი არიან არჩევნების მონიტორინგში, ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებასა და საარჩევნო რეფორმების რეკომენდაციების შემუშავებაში. თუმცა, არსებული პოლიტიკური კლიმატის პირობებში ისინი მზარდ გამოწვევებს უპირისპირდებიან, მათ შორის სამართლებრივ შეზღუდვებს და პოლიტიკურ ზეწოლას ხელისუფლების მხრიდან.

13 ოქტომბრის მდგომარეობით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დასაკვირვებლად ცესკომ 87 ადგილობრივი ორგანიზაციიდან 2,496 ადგილობრივი დამკვირვებელი დაარეგისტრირა. 2024 წლის არჩევნების მონიტორინგს ახორციელებს რამდენიმე ისეთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორებიც არიან “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო”<sup>86</sup>, “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (ISFED)<sup>87</sup>, “საერთო-სამოქალაქო

---

<sup>85</sup> ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტებში უნდა იყოს მითითებული მისი ერთგულება არჩევნების მონიტორინგის ან/და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ.

<sup>86</sup> ამ ანგარიშის მომზადების დროს [„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“](#) დარეგისტრირებული ჰყავს 35 დამკვირვებელი.

<sup>87</sup> ამ ანგარიშის მომზადების დროს [“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება”](#) დარეგისტრირებული ჰყავს 827 დამკვირვებელი.

მოდრობა მრავალეროვანი საქართველო” (PMMG)<sup>88</sup> და “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” (საია)<sup>89</sup>. მიუხედავად მათი დიდი გამოცდილებისა და სანდოობისა, ეს ორგანიზაციები მთავრობის მხრიდან მზარდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან. აღნიშნული შეიძლება გულისხმობდეს სამართლებრივი და ექსტრა-სამართლებრივი ზომების გამოყენებას, რათა არჩევნების მოახლოებასთან ერთად შეზღუდოს დამოუკიდებელი დამკვირვებლების გავლენა.

ასევე შემაშფოთებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) კუთხით არსებული ზოგადი მდგომარეობა საქართველოში. 2024 წელს რეგისტრირებული 30,258 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციიდან მხოლოდ 4.3% არის აქტიური, რაც სამოქალაქო ჩართულობის სივრცის შეზღუდვას ასახავს. “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის” შესახებ სადავო კანონი, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას, რომლებიც 20%-ზე მეტ დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ, ავალდებულებს “უცხოელ აგენტებად” დარეგისტრირებას, რაც მკაცრად გაკრიტიკებულია რუსეთში მოქმედ მსგავს კანონებთან მსგავსების გამო. პროტესტის ნიშნად, დაახლოებით 200-მა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პირობა დადო, რომ არ დაემორჩილება კანონს, რის მიზეზადაც ასახელებენ კანონის შემაშფოთებელ გავლენას სამოქალაქო საზოგადოებასა და დემოკრატიულ თავისუფლებებზე. 24 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ (ACB) “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” “განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტად” გამოაცხადა, რის გამოც ორგანიზაციამ დროებით შეაჩერა არჩევნებზე სადამკვირვებლო საქმიანობა. ამ უკანასკნელმა საქმიანობა 2 ოქტომბერს განაახლა პრემიერ-მინისტრის ჩარევის შემდეგ, რის გამოც ანტიკორუფციულმა ბიურომ გადაწყვეტილება გააუქმა<sup>90</sup>. ENEMO აღნიშნავს, რომ “უცხოური გავლენის” შესახებ კანონმა და მთავრობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩახშობამ კიდევ უფრო დაამძიმა უკვე დაძაბული პოლიტიკურ კლიმატი არჩევნებამდე. ამის შედეგად ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილებიან როგორც რადიკალური ძალები და მათი სანდოობა ეჭვქვეშ დგება .

## საერთაშორისო დამკვირვებლები

13 ოქტომბრის მდგომარეობით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დასაკვირვებლად ცესკომ 60 საერთაშორისო ორგანიზაციიდან თუ სუბიექტიდან 580 საერთაშორისო დამკვირვებელი დაარეგისტრირა.

<sup>88</sup> ამ ანგარიშის გომოზადების დროს [საზოგადოებრივ მოძრაობა “მრავალეროვანი საქართველოს”](#) დარეგისტრირებული ჰყავს 533 დამკვირვებელი.

<sup>89</sup> ამ ანგარიშის გომოზადების დროს [“საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას”](#) დარეგისტრირებული ჰყავს 323 დამკვირვებელი.

<sup>90</sup> იხილეთ მეტი სექციაში - “პოლიტიკური კამპანია და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება”



ცესკო და საოლქო საარჩევნო კომისიები საერთაშორისო დამკვირვებლებს მომავალი სესიების შესახებ დროულ ინფორმაციას აწვდიან და სრულად დაკვირვების შესაძლებლობას აძლევენ. ამასთანავე, ცესკო რეგულარულად აწვდის განახლებულ ინფორმაციას და, როგორც წესი, თანამშრომლობს საერთაშორისო დამკვირვებლებთან.

## ENEMO-ს შესახებ

---

არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი (ENEMO) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ეროვნული არასამთავრობო სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელს წარმოადგენს. იგი 2001 წლის 29 სექტემბერს ოპატიაში, ხორვატიაში დაარსდა. ENEMO ცენტრალური აზიისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 17 ქვეყნის (ევროკავშირის სამი წევრი) 21 წამყვანი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციისგან შედგება.

ENEMO-ს მიზანია, მხარი დაუჭიროს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს რეგიონში დემოკრატიის ხელშეწყობის მიმართულებით, რასაც საარჩევნო პროცესებისა და პოლიტიკური გარემოს შეფასებით და ზუსტი და მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ანგარიშების შეთავაზებით ახორციელებს. ENEMO-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები საარჩევნო პროცესის შესაფასებლად დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო კრიტერიუმებსა და სტანდარტებს და მასპინძელი ქვეყნის სამართლებრივ ჩარჩოს იყენებენ. ENEMO-მ და მისმა ყველა წევრმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა "არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების" 2005 წლის დეკლარაციასა და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დეკლარაციას "არჩევნებზე არაპარტიული დაკვირვებისა და მონიტორინგის გლობალური პრინციპების" შესახებ. ENEMO-ს თითოეულ დამკვირვებელს არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებელთა ქცევის კოდექსზე აქვს ხელი მოწერილი.

ENEMO-ს წევრმა ორგანიზაციებმა მონიტორინგი გაუწიეს 250-ზე მეტ ეროვნულ არჩევნებს და გადამზადეს 250, 000-ზე მეტი დამკვირვებელი.

დღეისათვის ENEMO-ს ჩატარებული აქვს 43 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 11 ქვეყანაში მათ შორის: საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები; უნგრეთის 2024 წლის მუნიციპალური არჩევნები; მოლდოვის 2023 წლის ადგილობრივი არჩევნები; სერბეთის 2022 წლის საპრეზიდენტო და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; უნგრეთის 2022 წლის საპარლამენტო არჩევნები; კოსოვოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები; საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვის 2021 წლის საპარლამენტო არჩევნები; ალბანეთის 2021 წლის საპარლამენტო არჩევნები; მოლდოვის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; მონტენეგროს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები; სერბეთის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2020 წლის ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვის 2019 წლის ადგილობრივი არჩევნები; უკრაინის 2019 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; მოლდოვის 2018-19 წლის საპარლამენტო არჩევნები; სომხეთის 2018 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; მოლდოვის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინის 2018 წლის ადგილობრივი არჩევნები; უკრაინის 2014 წლის

საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; უკრაინის 2013-2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ხელახალი ჩატარება 5 კომისიაში; 2013 წლის კოსოვოს ადგილობრივი არჩევნები, პირველი ტური; 2012 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნები; 2011 წლის კოსოვოს ხელახალი საპარლამენტო არჩევნები; 2010 წლის კოსოვოს საპარლამენტო არჩევნები; 2010 წლის ყირგიზეთის საპარლამენტო არჩევნები; 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, მეორე ტური; 2010 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, პირველი ტური; კოსოვოს 2009 წლის ადგილობრივი არჩევნები; მოლდოვის 2009 წლის საპარლამენტო არჩევნები; საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ყირგიზეთის 2007 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2007 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები პოლტავაში, კიროვოგრადაში და ჩერნიოვში; უკრაინის 2006 წლის საპარლამენტო არჩევნები; ყაზახეთის 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ალბანეთის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნები; ყირგიზეთის 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები; ყირგიზეთის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნები; უკრაინის 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, განმეორებითი მეორე ტური; უკრაინის 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.

ENEMO-ს წევრი ორგანიზაციებია: დემოკრატიული ტრანზიციის ცენტრი – CDT, მონტენეგრო; მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი – CeMI, მონტენეგრო; თავისუფალი არჩევნებისა და დემოკრატიის ცენტრი – CeSID, სერბეთი; სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი CCI, ბოსნია და ჰერცეგოვინა; გონგი, ხორვატია; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება – ISFED, საქართველო; KRIIK ასოციაცია, ალბანეთი; მოქალაქეთა ასოციაცია MOST, მაკედონია; პრომო-LEX, მოლდოვა; OPORA, უკრაინა; დემოკრატიული კულტურის საზოგადოება SDC, ალბანეთი; საერთაშორისო გამჭვირვალობის ანტიკორუფციული ცენტრი (TIAC), სომხეთი; არჩევნების მონიტორინგისა და დემოკრატიული კვლევების ცენტრი (EMDS), აზერბაიჯანი; ბელარუსის ჰელსინკის კომიტეტი (BHC), ბელარუსი; FSCI, ყაზახეთი; კოსოვოს დემოკრატიული ინსტიტუტი (KDI), კოსოვო; კოალიცია დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ყირგიზეთი; კვლევის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ცენტრი (CRTA), სერბეთი; Obcianske OKO (OKO), სლოვაკეთი; უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტი (CVU), უკრაინა; და პოლიტიკური ანგარიშვალდებულების ფონდი (PAF), პოლონეთი.